გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№34 (1724) 16 — 22 ოქტომბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ მოკლა ქალმა ქმრის საყვარელი

სოფლელი გოგოს ტრაგიკული ამბავი

ემზადება თუ არა ოპოზიცია არეულობისთვის



რას ამბობენ მმართველ გუნდში და რა ინფორმაცია მიაწოდა გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულმა ძალოვანებს

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ბიძინა ივანიშვილი: „კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ ომსა და მშვიდობას შორის!“

„კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ნგრევისა და ღალატის სიმბოლოა, ხოლო „ქართული ოცნების“ სახით, ქართველი ხალხი ირჩევს მშვიდობას, ღირსებას და კეთილდღეობას“

ძმამ მაღალჩინოსანი და დანით მოკლა

სისხლიანი ოჯახური დრამა

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე არაერთი შეტყობინება შემოვიდა, სადაც მოქალაქეები მიუთითებენ, რომ უწყების სახელით გაურკვეველი შინაარსის შეტყობინება მიიღეს.

მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვმარტოთ, რომ არანაირი შეტყობინება არ არის დაგზავნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან და მოქალაქეებს მოვუწოდებთ, არ შევიდნენ შეცდომაში.

ასევე, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ფაქტი შესწავლილი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ბაზას მოსწავლეები ესტუმრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, ზურაბ ჭაბაშვილმა დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წალკის განყოფილების ბაზაზე, წალკის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

ზურაბ ჭაბაშვილმა და დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსწავლეებს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და ბაზის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს.

სტუმრებისთვის მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი და ტექნიკა, მათ შორის, სამთო და სამხედრო აღჭურვილობა.

ონში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა – იოსებ ჭელიძემ და ალექსანდრე დარახველიძემ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროს თემურ მღებრიშვილთან ერთად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ქალაქ ონში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობა გახსნეს.

ღონისძიებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – პარმენ მარგველიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ახალი შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა და აღჭურვილია უახლესი ინვენტარით. თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო და მოსასვენებელი ოთახები, სპეციალური სავარჯიშო სივრცე, სასწავლო ოთახი და სპორტული დარბაზი.

შენობაში განთავსდა ოპერატიული მართვის ცენტრიც, სადაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, რაჭის რეგიონში შემოსული შეტყობინებების მონიტორინგი განხორციელდება და შესაბამის სახანძრო-სამაშველო ჯგუფებთან გადანაწილდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შენობის ეზოში სახანძრო-სამაშველო ტექნიკისთვის სპეციალური ავტოსადგომი მოეწყო, შენობის სახურავზე კი მზის ენერგიის პანელები დამონტაჟდა. ახალი შენობა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით 30 პირი დააკავა, მათ შორის, 25 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თბილისის, შიდა ქართლის, აჭარის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 30 პირი დააკავეს, მათ შორის, 25 ნარკორეალიზატორია. დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღების, გასაღების მცდელობის, გასაღების მომზადების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო გასაღების, გასაღების მცდელობა და გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1994 წელს დაბადებული ჯ.ნ.; 1979 წელს დაბადებული ი.მ.; 1972 წელს დაბადებული ა.ლ.; 1994 წელს დაბადებული გ.ფ.; 1994 წელს დაბადებული გ.ქ.; 1998 წელს დაბადებული გ.გ.; 1987 წელს დაბადებული ბ.ხ.; 2003 წელს დაბადებული ტ.მ. და 1994 წელს დაბადებული ბ.ბ.; 1957 წელს დაბადებული ო.ე.; 2001 წელს დაბადებული ბ.ვ.; 2000 წელს დაბადებული ვ.გ., 1990 წელს დაბადებული ხ.ბ. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1988 წელს დაბადებული მ.ხ.; 1993 წელს დაბადებული ჯ.ჯ.; 1974 წელს დაბადებული მ.მ.; 1978 წელს დაბადებული ზ.ა., 1982 წელს დაბადებული კ.დ.; 1983 წელს დაბადებული ზ.ე.; 1985 წელს დაბადებული თ.ვ.

ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1997 წელს დაბადებული ა.ა.; 1989 წელს დაბადებული ს.ფ.; 1996 წელს დაბადებული ზ.ს.; 2003 წელს დაბადებული ხ.ს.; 1994 წელს დაბადებული მ.ა.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან წარსულში ნასამართლევი პირები: 1966 წელს დაბადებული ს.მ.; 1958 წელს დაბადებული შ.გ. ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1993 წელს დაბადებული ა.კ. და წარსულში ნასამართლევი, 1989 წელს დაბადებული გ.დ. და 1983 წელს დაბადებული გ.ს. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის, „მდმა“, „ამფეტამინი“, „მეტამფეტამინი“, „ჰეროინი“, „ბუპრენორფინი“, „მეტადონი“, „კეტამინი“, „ტრამადოლი“, „მეფედრონი“, „ალფა-პვპ“ და „მარიხუანა“ ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად არის ამოღებული, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული და ელექტრო-სასწორები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 18-260-ე, 19-260-ე, 19-25-260-ე, 265-ე, 18-273-ე პრიმა, 19-273-ე პრიმა და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

ბიძინა ივანიშვილი: „კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ ომსა და მშვიდობას შორის!“

მმართველი პარტია რეგიონებში წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა ამჯერად აჭარის მოსახლეობას ბათუმიდან მიმართა:

„მოგესალმებით, ჩემო აჭარლებო. მივესალმები ბათუმს, ქობულეთს, ხელვაჩაურს, შუახევს, ხულოსა და ქედას. მიხარია, რომ კიდევ ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს, კიდევ ერთხელ ვდგავართ ერთმანეთის მხარდამხარ და ვაპირებთ, რომ მომავალშიც გავაძლიეროთ ერთმანეთი და ყველამ ერთად გავაძლიეროთ ჩვენი საყვარელი სამშობლო.

აჭარასა და აჭარლებზე საუბარი დიდხანს და დაუსრულებლად შეიძლება, მით უფრო, რომ ეს საოცარი კუთხე ბუნებამ უხვად დააჯილდოვა თვალწარმტაცი ადგილებით, სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის მთა და ზღვა. მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ აჭარის ხსენებისას, ამ ქვეყნის თითოეულ შვილს სითბოთი ევსება გული – სწორედ აჭარაა ის მხარე, სადაც ყოველ ზაფხულს, ლამის მთელი საქართველო ერთად იყრის თავს და დაუვიწყარ ემოციებს ვჩუქნით ერთმანეთს. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხე უნიკალური და გამორჩეულია, აჭარა ერთი-ერთი ყველაზე ქართულად და პატრიოტულად განწყობილი მხარეა, აჭარლების გასაოცარი ტემპერამენტი და პატრიოტიზმი კი საუკუნეების ქარტეხილებმა არაერთხელ გამოსცადა.

მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, ეს საოცარი, თანაც სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი მრავალჯერ იყო დიდი იმპერიების ბრძოლის საგანი და არაერთხელ მოუკვეთიათ დედა სამშობლოსთვის, მაგრამ თქვენი და ჩვენი დიდი წინაპრების ქართველობის წყალობით, აჭარელ ქალებსა და კაცებს არასდროს განელებიათ საქართველოს სიყვარული, არასდროს შეუწყვეტიათ საკუთარი ენის, ისტორიისა და კულტურის დაცვა, რაც მთავარია, შვილებისთვის გულში საქართველოს სიყვარულის და ქართველობის ჩანერგვა. თქვენი იმედიანი, სირთულეებთან შეუგუებელი ხასიათი და თავდადების უნარი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, როგორ ვავსებთ ერთმანეთს მამულის, ენისა და სარწმუნოების გარშემო გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები და ერთ მუშტად შეკრულ, მრავალფეროვან ერს ვქმნით. ეს საოცარი ერთობა ყველაზე უკეთ მაშინ ჩანს, როცა საქმე ჩვენს ღირსებას და თავისუფლებას ეხება!

„კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ნგრევისა და ღალატის სიმბოლოა, ხოლო „ქართული ოცნების“ სახით, ქართველი ხალხი ირჩევს მშვიდობას, ღირსებას და კეთილდღეობას“

კარგად გახსოვთ, რა ხდებოდა 12 წლის წინ საქართველოში, როდესაც ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მკვლელობა, წამება, ქონების წართმევა, ბიზნესის რეკეტი ამ ქვეყნის ყოველდღიურობა იყო. ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა აჭარაში, ამ დალოცვილ კუთხეში, რომელიც წინა ხელისუფლებამ საკუთარ სათამაშო ქვიშის მოედნად აქცია – საჯაროდ აცხადებდნენ, რომ აჭარასა და აჭარლებზე ზრუნავდნენ, რეალურად კი საკუთარ ბიზნესინტერესს ატარებდნენ და აზრს არაფერში გეკითხებოდნენ, თქვენგან მხოლოდ თავის დახრას და მორჩილებას მოითხოვდნენ. მთელი აჭარა საკუთრებად გაიხადეს და გიკრძალავდნენ, რომ ამაზე რეაქცია გქონოდათ!

12 წლის წინ დაგპირდით, რომ თქვენი ნდობის შემთხვევაში, ქართველ ხალხს აუცილებლად დავუბრუნებდით წართმეულ ღირსებას, რადგან მიგვაჩნდა და დღესაც იმავე რწმენით ვართ, რომ პოლიტიკის ამოსავალი წერტილი ადამიანი უნდა იყოს, ხელისუფლება კი მისი უფლებების დაცვის მთავარი გარანტი.

ამაყი ვარ, რომ თქვენთან ერთად, საქართველოს მოსახლეობის მუდმივი მხარდაჭერით, 12 წელიწადში ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც ხელისუფლება ემსახურება ხალხს და ყველა ინსტიტუცია პროფესიონალურად ასრულებს თავის მოვალეობას; ქვეყანა, სადაც ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს თუ სტუმარს ღირსეულად შეუძლია ცხოვრება, განურჩევლად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა; ქვეყანა, სადაც აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, იქნება ეს ჯანდაცვის, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სფერო – მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს; ქვეყანა, სადაც ძალოვანი უწყებები და მართლმსაჯულების სისტემა თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტთან. რაც მთავარია, მნიშვნელოვნად შევამცირეთ სიღარიბე, თუმცა გვესმის, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო აქტიურად უნდა გავაგრძელოთ, რათა ოკუპაციასთან ერთად, ჩვენი მთავარი გამოწვევა – სიღარიბე სამუდამოდ დავძლიოთ!

საერთო ჯამში, 2012 წლის 1 ოქტომბერს, არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პრინციპულად გააუმჯობესა მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით! ამაზე ძალიან ბევრი ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა, მე მინდოდა შემეხსენებინა, რომ სამი დღის წინ, გამოსვლა მთავრობასთან ერთად, იყო ძალიან შთამბეჭდავი, დღესაც ძალიან კარგად მოგახსენათ, თუ რამდენი მიღწევები გვაქვს ყველა მიმართულებით. მაგრამ, გარდა პრემიერის გამოსვლისა და შიდა მიღწევებისა, რომელსაც თქვენ ხედავთ, კარგად

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ ომსა და მშვიდობას შორის!“

მე-3 გვერდიდან

შეიძლება ვნახოთ საერთაშორისო რეიტინგებიც. თუ ჩვენი არ სჯერათ, განსაკუთრებით ჩვენს ოპონენტებს – კრიტიკულად უყურებენ ყველაფერს, საერთაშორისო რეიტინგებს მაინც შეხედონ და რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ:

„ატლანტიკური საბჭოს“ თავისუფლებისა და კეთილდღეობის 2024 წლის ინდექსით, საქართველო კეთილდღეობის ათწლიანი პროგრესით, მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია, 11-წლიანი პროგრესით კი – მსოფლიოში პირველ ადგილზეა.

ღია ბიუჯეტის ინდექსში, საქართველო სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში, კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის. გახსოვთ, რომ ერთი პარტიის ბელადს, ბიუჯეტი საკუთარი ჯიბე ეგონა და ისე მოიხმარდა, როგორც საკუთარ ჯიბეს და დღეს პირველ ადგილზეა საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მხრივ, მსოფლიოს 125 ქვეყანასთან შედარებით.

სასამართლო მართლმსაჯულებაზე სახელისუფლებო თავდასხმებისგან თავისუფლებით, საქართველო ევროპის საუკეთესო ათეულშია. აბა, გახსოვთ, სასამართლო როგორ იმართებოდა? ხელისუფლების გავლენა იმდენად მცირეა დღეს, რომ საუკეთესო ათეულშია საქართველო, ევროპაში.

ხელისუფლების მხრიდან ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით, საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა. გახსოვთ, რაც ხდებოდა? გახსოვთ, როგორ ძალადობდნენ, როგორ ხოცავდნენ ქუჩაში? გახსოვთ, როგორ ძალადობდნენ? 3 000 პრობაციონერი ჰყავდა საქართველოს მხოლოდ.

დღეს საქართველო მესამე ადგილზეა მსოფლიოში, რამდენადაც ის არ ძალადობს საკუთარ მოსახლეობაზე და ეს საამაყოა, რა თქმა უნდა.

სამოქალაქო თავისუფლების 11-წლიანი პროგრესით, საქართველო მსოფლიოში მეცხრე, ევრაზიის კონტინენტზე – მესამე, ევროპაში კი – პირველ ადგილზეა. თავისუფალი მოქალაქეები ქმნიან ბიზნესს, თავისუფალი მოქალაქეები ახერხებენ, ქვეყანას წარმატება მოუტანონ და ნახეთ, როგორი შთამბეჭდავი მიღწევები გვაქვს ამ მიმართულებით.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2024 წელს, საქართველოში საერთაშორისო სიღარიბის დონე ახალ ისტორიულ მინიმუმამდე მცირდება და მაჩვენებლის 12-წლიანი გაუმჯობესებით, საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია. სიღარიბის გაუმჯობესებით 12 წელში, მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია საქართველო. ნუ დაგვავიწყდება, ხალხო, რომ 12 წელიწადში ვერ გაკეთდება ის, რაც უნდა გაკეთდეს 25 და 30 წელიწადში, მაგრამ 12 წლის განმავლობაში, ნამდვილად შთამბეჭდავი მიღწევები გვაქვს.

როგორც იცით, კიდევ შეგახსენებთ, სამი დღის წინ, ეს პრემიერმა ძალიან კარგად წარმოადგინა თავის გუნდთან ერთად, ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს და დღესაც კიდევ ერთხელ მოვისმინეთ; მე თვითონ მიხარია, როდესაც ვუსმენ, ისეთ ციფრებს ასახელებს პრემიერ-მინისტრი.

ცხადია, მშვიდობა ყველაფრის საფუძველია, რომლის გარეშეც ვერაფერი მიიღწევა, თუმცა ჩვენ მხოლოდ მშვიდობას არ ვიცავთ! ამის მიღმა, „ქართული ოცნება“ განუხრელად, ყველა მიმართულებით ატარებს სწორ პოლიტიკას, მოწინავეები ვართ ადამიანთა კეთილდღეობის ინდექსით, ბიუჯეტის გამჭვირვალობით, ქართული მართლმსაჯულება და საზოგადოება სრულიად თავისუფალია ხელისუფლების წნეხისგან, ნაბიჯ-ნაბიჯ ვამცირებთ სიღარიბეს და კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა მოგახსენოთ: ამ ყველაფერზე დაყრდნობით, ჩვენი სწორი პოლიტიკისა და საერთაშორისო რეიტინგების გათვალისწინებით მინდა გითხრათ, თუ როგორ პროგნოზს აქვეყნებს საქართველოსთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი – ამ უაღრესად ავტორიტეტულმა ინსტიტუციამ 2030 წლამდელი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის გრძელვადიანი პროგნოზი გამოაქვეყნა, საქართველო კი ათწლიანი ზრდის პროგნოზის სამი მიმართულებით მოხვდა, მსოფლიოს საუკეთესო სამეულში.

ერთ სულ მოსახლეზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ათწლიანი ტემპის მიხედვით, საქართველო 2029 წლისთვის, მსოფლიოს საუკეთესო სამეულში იმკვიდრებს ადგილს, ხოლო ევროპაში ზრდის უპირობო ლიდერია – უპირობო ლიდერია ევროპაში საქართველო 2029 წლამდე ეკონომიკის ზრდის ტემპებით. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ამერიკულ დოლარში, ერთ სულ მოსახლეზე 2029 წლისთვის, 12 900 აშშ დოლარს გადააჭარბებს. ზრდის საპროგნოზო ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2030 წელს, 14 ათას აშშ დოლარს გადააჭარბებს და მაღალი ალბათობით გახდება მაღალშემოსავლიანი სტატუსის მქონე ქვეყანა, მსოფლიო ბანკის გრადაციით. 2029 წლისთვის, საქართველოს ექნება უფრო დიდი ეკონომიკა მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, ვიდრე ევროკავშირის წევრ ექვს ქვეყანას.

ამ დამაიმედებელი რიცხვების მიუხედავად, ნურავის ექნება ილუზია, რომ მსგავსი შთამბეჭდავი შედეგები თავისით მიიღწევა. პროგრესს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება მუდმივად აჩვენებს, სჭირდება გაფრთხილება და დაცვა. ჩვენი გეგმაა, რომ ღირსეულად, მყარად შევაბიჯოთ ევროპულ ოჯახში და დარწმუნებული ვარ, საქართველოს წინსვლას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს.

ეს ყველაფერი მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ წარმატების, რაც პრემიერმა თქვა, რაც მეც ჩამოვთვალე, რასაც ჩვენმა ქვეყანამ 2012 წლის შემდეგ მიაღწია, მაგრამ საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების დასკვნებიც რომ არა, ჩვენი ხალხი, თქვენ ხომ ყველაზე უკეთ ხედავთ, თუ როგორი ქვეყანა იყო საქართველო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში და როგორ საქართველოში ვცხოვრობთ დღეს?! ხომ კარგად გახსოვთ, რა იდგა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებისა და მათი ბელადის მიერ თავსმოხვეული, ბათუმის აღმშენებლობის ცრუ პროპაგანდის უკან?!

რეალურად, ამ ულამაზესი ქალაქის და ბათუმელების კეთილდღეობის ხარჯზე, ხელისუფლება და მასთან დაახლოებული ვიწრო ჯგუფი მდიდრდებოდა მხოლოდ.

12 წლის წინ დაგპირდით, რომ ბათუმს და მთლიანად აჭარას, ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრად, საქართველოს გამორჩეულ საკურორტო, ზღვისპირა კუთხედ და ქალაქად ვაქცევდით! ასეც მოხდა და ამ ყველაფერს თქვენ საკუთარი თვალით კარგად ხედავთ!

უკვე წლებია, აჭარაში ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან. ამასთან, აჭარლებს მივეცით შესაძლებლობა, ჰქონდეთ მცირე და საშუალო ბიზნესი, აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, უმასპინძლონ სტუმრებს და ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ტურისტი მოიზიდონ! შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რამხელა სხვაობაა ტერორითა და დაშინებით დაძაბუნებულ ძველ და დღევანდელ, სიცოცხლით სავსე ბათუმსა და აჭარას შორის.

ამ უდიდესი პროგრესის მიუხედავად, რომელიც

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ ომსა და მშვიდობას შორის!“

მე-4 გვერდიდან

არა მხოლოდ აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში იგრძნობა, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის მოქმედების მთავარი მახასიათებელი უწინაც და ახლაც საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირების გაღვივებაა, ნებისმიერ, მათ შორის, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის ფასად, ცდილობს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მათი უცხოელი პატრონების დახმარებით, ისინი მზად არიან 2008 წლის ღალატის მსგავსად, ქვეყანა ომში ჩაითრიონ და კიდევ ერთხელ დაატრიალონ ტრაგედია, რაც ადამიანების სიცოცხლის, დამატებით, დაკარგული ტერიტორიების ფასად დაგვიჯდა. უცხოეთიდან ზურგგამაგრებული კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ დღესაც, არეულობის საშუალებით, ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას და შემდეგ, ქვეყნის ომსა და ქაოსში გახვევას.

ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. ესაა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, თუ რატომ სჭირდება საქართველოს, რომ 26 ოქტომბერს, „ქართულმა ოცნებამ” საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს.

სწორედ ამ ერთიანობის ეშინია კოლექტიურ „ნაციონალური მოძრაობას“ ყველაზე მეტად, რადგან „ქართულ ოცნებასთან“ და ქართველ ხალხთან, უკვე 12 წელია, უშანსოდ მარცხდება, ხოლო 26 ოქტომბერს, „ქართული ოცნების“ დიდი უპირატესობით გამარჯვება მათი დასასრულის დასაწყისი იქნება – ჩვენ ჯერ კონსტიტუციით ავკრძალავთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის სატელიტ თუ მემკვიდრე პარტიებს, რითაც გზას ახალ, ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს გავუხსნით, შემდეგ კი, ომის დანაშაულის გამო, თითოეულ მოღალატეს უმკაცრესად ვაგებინებთ პასუხს კანონის წინაშე!

ერთი მხრივ, მხოლოდ ასე შეიძლება დასრულდეს ის თავსმოხვეული პოლარიზაცია, რაც ქვეყანას განვითარებაში უშლის ხელს, მეორე მხრივ კი, საზოგადოებას კარგსა და უკეთესს შორის არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცეს!

დღესაც, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ნგრევისა და ღალატის სიმბოლოა, ხოლო „ქართული ოცნების“ სახით, ქართველი ხალხი ირჩევს მშვიდობას, ღირსებას და კეთილდღეობას. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ დავასრულებთ ჩვენი მტრების მიერ ქართველი ერის მთავარი დასაყრდენის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და რიგ ორგანიზაციებში გაბნეულმა უცხოეთის აგენტებმა ზუსტად იციან, რომ უსიტყვო მორჩილების მიღწევა მხოლოდ ჩვენი ხალხის მორალური დეგრადაციის, ფასეულობებისგან დაცლის გზით შეუძლიათ. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქართველი ხალხის ურყევ ნებას აუცილებლად ავსახავთ კონსტიტუციაში და არასრულწლოვანთა ინტერესებს თუ ოჯახურ ღირებულებებს კიდევ უფრო მტკიცედ დავიცავთ! საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვისა და გაძლიერების მიმართულებითაც, რაც კონსტიტუციის დონეზე აისახება!

მაგრამ ამით, საქართველოში მოქმედ არცერთ რელიგიურ კონფესიას იოტისოდენა ჩრდილიც კი არ მიადგება! პირიქით, ჩვენ ტოლერანტობით განთქმული, მრავალფეროვანი ქვეყანა ვართ და ეს თქვენ არ გესწავლებათ, აჭარლებს – აჭარაში დიდი გამოცდილება, უამრავი მაგალითია დაგროვილი იმისა, თუ როგორ ახერხებენ მართლმადიდებელი და მუსლიმი ქართველები, დები და ძმები ერთად, ჰარმონიულად და ურთიერთპატივისცემით აკეთონ საერთო საქმე – იზრუნონ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებასა და განვითარებაზე. თავის მხრივ, ჩვენი პოლიტიკური გუნდი კი იყო, არის და მომავალშიც იქნება გარანტი, რომ სახელმწიფო თანაბრად ზრუნავდა და იზრუნებს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა.

დასასრულ კი, კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, თუ რატომ უნდა გამოვიდეთ 26 ოქტომბერს ქუდზე კაცი და რატომ უნდა მოიპოვოს „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება. თაობების ოცნება და ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში, ჩვენს აფხაზ და ოს დებთან და ძმებთან ერთად, მშვიდობიანი თანაცხოვრებაა.

სხვა რეგიონებში გამოსვლებისას, უკვე არაერთხელ აღვნიშნე, რომ მსოფლიოსა და ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა ჩვენი ქვეყნის გარშემო პროცესების სწრაფად და დინამიკურად წარმართვა განაპირობა. შესაბამისად, მივიღეთ რეალობა, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შესაძლებლობა ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაგვიჩნდეს, რისთვისაც საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება და ახალ რეალობასთან მოყვანა გახდება აუცილებელი.

ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ ამ მიმართულებითაც ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება. ამას მოწმობს მათი ისტერიული რეაქცია შერიგებასა და მშვიდობაზე გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ.

მათგან ეს არც არის გასაკვირი, რადგან 2008 წელს, ოსებთან და აფხაზებთან გაბმული, ხალხთა შორის ნდობის ჯერ კიდევ სუსტი ძაფები, გარე დავალებების შესაბამისად, უხეშად გაწყვიტეს, ჩვენი ხალხი ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორეს და არსებული უფსკრული გააღრმავეს! ამ უფსკრულის ამოვსება მხოლოდ ურთიერთშერიგების, საკუთარი ქმედებების გააზრებისა და ერთმანეთისთვის ხელის გაწოდების გზით არის შესაძლებელი! საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას წინ ვერავინ აღუდგეს, საკონსტიტუციო ცვლილებებით, დაუყოვნებლივ მოვამზადებთ სამართლებრივ საფუძველს, პარალელურად კი, აქტიურად ვიმუშავებთ აფხაზ და ოს ხალხთან შერიგებასა და ნდობის აღდგენაზე.

ასე რომ, 26 ოქტომბერს მარტივი არჩევანი გვაქვს გასაკეთებელი, რადგან ყველაფერთან ერთად, უკვე არაერთხელ დამტკიცდა, რომ „ქართული ოცნების“ გარდა, საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებულია საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე, აქვს გამოცდილება და უნარი, რომ სტაბილურობა, კეთილდღეობა, მშვიდობა და ეკონომიკური ზრდა უზრუნველჰყოს. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენივე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ღირსეულად, მშვიდობითა და კეთილდღეობით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. ამის საპირისპიროდ, ქვეყნის გარედან, ალტერნატივად გვისახავენ აგენტურას, რომელიც ომს, ნგრევასა და განადგურებას ნიშნავს.

სწორედ ამიტომ, 26 ოქტომბერს, კიდევ ერთხელ უნდა გადავარჩინოთ ქვეყანა, არჩევანი გავაკეთოთ მონობასა და თავისუფლებას, უცხო ქვეყნების მორჩილებასა და სუვერენიტეტს, ომსა და მშვიდობას შორის.

ღრმად მწამს, რომ სამშობლოსათვის გადამწყვეტ ბრძოლაში, ამ ულამაზესი კუთხის შვილები მტკიცედ დადგებით საქართველოს ერთიანობისა და სუვერენიტეტის სადარაჯოზე! გაუმარჯოს დამოუკიდებელ, ძლიერ, ერთიან და თავისუფალ საქართველოს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“.

ემზადება თუ არა ოპოზიცია არეულობისთვის

ნინო დოლიძე

რას ამბობენ მმართველ გუნდში და რა ინფორმაცია მიაწოდა გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულმა ძალოვანებს

არჩევნები, როგორც იტყვიან, კარსაა მომდგარი, თუმცა ქვეყანაში უჩვეულო სიმშვიდეა ანუ თუ თვალს უახლეს ისტორიას გადავავლებთ, მივხვდებით, რომ აქამდე, წინასაარჩევნო კამპანია დიდი წივილ-კივილით მიდიოდა ხოლმე. ახლა კი, მიუხედავად ოპოზიციის მტკიცებისა, 26 ოქტობერს არჩევნები კი არა, რეფერენდუმი ტარდებაო, პრაქტიკულად, არც იგრძნობა, რომ რამდენიმე დღეში არჩევნებია. რით აიხსნება ეს? ზოგი ეჭვობს, რომ სიტუაცია მომავალ კვირას დაიძაბება და ამ მოსაზრებას, სხვათა შორის, უმრავლესობის წარმომადგენლებიც არ უარყოფენ. ახლა, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რას აპირებს ოპოზიცია, მაგრამ აი, მაგალითად, ხალხის ძალის წარმომადგენელი გურამ მაჭარაშვილი, პირდაპირ თუ ირიბად, არეულობაზე მიანიშნებს.

„სააკაშვილი უცხოეთის ერთ-ერთ მთავარ აგენტს წარმოადგენს. სხვათა შორის, თავის დროზე, არც დამალა, როცა თავის პატრონებს შეუთვალა, ოქროს მოწმე ვარ და თუ არ მიშველით, ავლაპარაკდებიო...

აღიარებულია, რომ სააკაშვილის დავალებით, გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქება მოხდა, რაც პირდაპირი მტკიცებულებაა იმის, რომ ეს ხალხი გადასულია გეგმა ბე-ზე, რაც წინასაარჩევნოდ თუ არჩევნების შემდეგ, რადიკალურ პროცესებს და არეულობას ითვალისწინებს. ასეთი განცხადებები რაც მეტი იქნება, მით უფრო მძაფრი სურვილი იქნება, რომ „ქართულ ოცნებას“ მხარი დაუჭირონ, როგორც ამ ქვეყანაში მშვიდობის გარანტს“, – განაცხადა რამდენიმე დღის წინ, გურამ მაჭარაშვილმა.

ოპოზიციის მხრიდან პროვოკაციებზე მინიშნება 12 ოქტობერს გამართულ ბრიფინგზე, პრემიერმა ირაკლი კობახიძემაც გააკეთა. კერძოდ, მან განაცხადა:

„ბრალდებულ დარჩო ხეჩუაშვილის საქართველოში უკანონოდ შემოსვლის საეჭვო მცდელობისა და რადიკალური ოპოზიციის პარტიულ ოფისებში მიმდინარე საუბრების ფონზე, მოვუწოდებ ყველა სამართალდამცავ უწყებას, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ და პროვოკაციების აღკვეთაზე განსაკუთრებული ყურადღებით იმუშაონ. ყველა ხედავთ, რომ საარჩევნო კამპანია წარიმართება უპრეცედენტოდ მშვიდ გარემოში, რაც რადიკალიზაციაზე ორიენტირებული კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ წარმატების შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. საარჩევნო გარემო არის თავისუფალი და კონკურენტული, რაც ეუთო-ოდირის მიერ, გუშინ გამოქვეყნებულმა ანგარიშმაც დაადასტურა. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ რადიკალური ოპოზიციის ფიქრი ახლა მთლიანად პროვოკაციებისკენ არიან მიმართული.

სახელმწიფო დგას მოწოდების სიმაღლეზე და არავის მივცემთ ქვეყანაში არეულობის შემოტანის შესაძლებლობას. მმართველი გუნდი გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ საარჩევნო პროცესები მშვიდ გარემოში გაგრძელდეს და ამომრჩეველმა 26 ოქტომბერს, მშვიდ ვითარებაში შეძლოს საკუთარი არჩევანის გაკეთება. მოვუწოდებთ რადიკალურ ოპოზიციას, თავი შეიკავონ პროვოკაციების დაგეგმვისგან. ნებისმიერ პროვოკაციას სახელმწიფოსგან უმკაცრესი პასუხი გაეცემა“.

რაც შეეხება დარჩო ხეჩუაშვილს, ეს არის ადამიანი, რომელიც გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქებაშია ბრალდებული და რომელიც რამდენიმე წელი იძებნებოდა. მას შემდეგ, რაც ხეჩუაშვილი საქართველოში შემოსვლის მცდელობისას დააკავეს, პროკურატურამ მასზე საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა, კერძოდ, ძალოვანი უწყების განცხადებიდან გაირკვა, რომ თარგამაძის აფეთქება მიხეილ სააკაშვილის ინტერესში შედიოდა.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 19 სექტემბერს, დააკავეს 2016 წლის 4 ოქტომბერს, დამამძიმებელ გარემოებებში, გივი თარგამაძისა და სხვა პირების მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ძებნილი, დარჩო ხეჩუაშვილი.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, გამოიკითხა მსჯავრდებული დარჩო ხეჩუაშვილი, რომელმაც გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც მსჯავრდებულის ჩვენებიდან ირკვევა, 2016 წლის აგვისტოს ბოლოს, დარჩო ხეჩუაშვილი შეხვდა მისთვის უცნობ პირს, ვინმე „დიმას“ (დიმიტრი), რომელმაც მას შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილის დანაბარები გადასცა, ჭიჭიაშვილთან შეხვედრის თაობაზე. მსჯავრდებულის თქმით, მას შოთა ჭიჭიაშვილთან წარსულში ნაცნობობა აკავშირებდა და შესაბამისად, აღნიშნულ შეხვედრას დათანხმდა.

შოთა ჭიჭიაშვილმა, შეხვედრისას, მსჯავრდებულს განუცხადა, რომ იგი ცოტა ხნის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, გია ლორთქიფანიძის ერთად, უკრაინაში, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. ჭიჭიაშვილის თქმით, სააკაშვილმა შეხვედრაზე საუბრისას თქვა, რომ არ ენდობოდა მისი პარტიის წევრს გივი თარგამაძეს, რადგან მისი ინფორმაციით, თარგამაძე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, იმჟამინდელ საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა ჭიჭიაშვილს, გივი თარგამაძის კონტროლი და თვალთვალი დაავალა.

თავის მხრივ, შოთა ჭიჭიაშვილმა გივი თარგამაძის თვალთვალში და მისი გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, დარჩო ხეჩუაშვილს დახმარება სთხოვა ოდესაში, კარგ თანამდებობაზე დანიშვნის სანაცვლოდ, რაზეც მსჯავრდებული დათანხმდა და მათ საერთო ნაცნობ „დიმასთან“ ერთად, გივი თარგამაძის თვალთვალი და გადაადგილების კონტროლი დაიწყო.

დარჩო ხეჩუაშვილის ჩვენებით, ისინი გივი თარგამაძეს, თავდაპირველად, მისი კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით უთვალთვალებდნენ, ხოლო შემდეგ „დიმამ“ ხეჩუაშვილის კუთვნილი ავტომანქანის იდენტური, ტრანზიტული სანომრე ნიშნების მქონე სხვა ავტომანქანა მიიყვანა და ხეჩუაშვილს განუცხადა, რომ გივი თარგამაძის სათვალთვალოდ ეს კონკრეტული მანქანა გადასცეს, რომელსაც თვალთვალის დროს, ძირითადად, ხეჩუაშვილი მართავდა.

მსჯავრდებულის განცხადებით, ერთ-ერთი მორიგი თვალთვალის დღეს, კერძოდ, 2016 წლის 4 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე არსებულ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან მყოფმა დარჩო ხეჩუაშვილმა, ტელეფონის საშუალებით აცნობა შოთა ჭიჭიაშვილს, რომ გივი თარგამაძე „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში შევიდა. მას შემდგომ, რაც გივი თარგამაძემ დატოვა პარტიის ოფისი და ჩაჯდა ავტომანქანაში, აღნიშნულის შესახებ მსჯავრდებულმა კვლავ მიაწოდა ინფორმაცია შოთა ჭიჭიაშვილს, რის შემდეგაც გივი თარგამაძის ავტომანქანა აფეთქდა. ავტომანქანის აფეთქების შემდგომ, ხეჩუაშვილმა შოთა ჭიჭიაშვილს შეატყობინა გივი თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების თაობაზე, რის შემდგომაც შოთა ჭიჭიაშვილის მითითებით, საქართველოს ტერიტორია დატოვა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გვერდის ავლით, თურქეთის ტერიტორიაზე უკანონოდ გადავიდა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ დარჩო ხეჩუაშვილი, დამამძიმებელ გარემოებებში გივი თარგამაძისა და სხვა პირების მკვლელობის მცდელობის, სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების, ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობის შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზეა მსჯავრდებული და სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული აქვს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების და გარემოებების დადგენის მიზნით“, – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის მიერ, 11 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებაში.

ერთი სიტყვით, ისეთი პირი უჩანს, რომ რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, პოლიტიკურ ველზე უფრო „დაცხება“. ასე რომ, დაველოდოთ, რა მოხდება...

თიანეთის მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშს გენერალური პროკურატურა სწავლობს

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების გახსენებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, თიანეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს გთავაზობთ, სადაც სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მართლაც უმძიმესი ხარვეზები გამოავლინეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ხარვეზები ბიუჯეტსა და ფინანსური რესურსების მართვაში

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ზოგადად, ნებისმიერმა მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. თუმცა, თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, შემოსულობებმა 2020-2021 წლებში – 21 529.1 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 19 445.4 ათასი ლარი შეადგინა.

„2020-2021 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტმა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი არასათანადოდ შეასრულა. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების, წყლის მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2 716.0 ათასი ლარი. 2020 წელს დაიგეგმა 2 701.7 ათასი ლარის ხარჯვა, თუმცა გამოიყენა მხოლოდ 89.3 ათასი ლარი. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 2 626.7 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 992.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2021 წელს, თიანეთის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის გამოყენება 2 476.0 ათასი ლარის ოდენობით, მაგრამ დააგროვა 2 173.0 ათასი ლარი. შესაბამისად, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 4 799.7 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 2 861.7 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტმა, 2020-2021 წლებში, ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება, ამასთან, დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). ყოველივე ეს, თიანეთის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2020 წელს, თიანეთის მუნიციპალიტეტმა შპს „ქვენიფნელთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შეისყიდა სოფლების – ახალსოფლისა და დულუზაურებს შორის, შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 494.0 ათასი ლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდა შპს „მშენექსპერტის“ წარმომადგენელი.

„ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნით დადასტურებულია შპს „ქვენიფნელის“ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და ხარისხი. სამუშაოების ხარისხზე შენიშვნა არ ჰქონია თიანეთის მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაოს მიმღებ ჯგუფს, რის საფუძველზეც, მიმწოდებელს აუნაზღაურდა ფორმა №2-ში წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულება.

თიანეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი. გამოვლინდა, რომ შესრულებული სამუშაოები დაზიანებულია. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ დაზიანებულია 2020 წელს რეაბილიტირებული სოფელ ჟებოტის სკვერი, ღირებულებით – 14.8 ათასი ლარი“.

აღნიშნული სამუშაო ჩაბარებულია თიანეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმღები კომისიის მიერ, ზედამხედველობის სამსახურისა და სოფლის წარმომადგენლის ხელმოწერების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ შესრულებული სამუშაოები ჩაბარებულია სრულად, აუდიტის ჯგუფის მიერ, სამუშაოების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

„ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი დაზიანებები, ძირითადად, რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც საზედამხედველო და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულება იყო. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისთვის, დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ჰქონდათ მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით გამოესწორებინა ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები. მუნიციპალიტეტს მიმწოდებლებისთვის ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით არ მიუმართავს“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი, ზოგ შემთხვევაში, ვერ უზრუნველჰყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. სამუშაოების მონიტორინგის, მიღება-ჩაბარებისა და საგარანტიო ვადის ეტაპზე არსებული მართვის სისუსტეების გამო, ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

2020-2021 წლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტმა, ინფრასტრუქტურული პროექტების შეძენის მიზნით, დახარჯა 8 735.2 ათასი ლარი. შემოწმებით გამოვლინდა, რომ შესყიდვის პროცესი მიწოდების პერიოდის დაცვის მხრივ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.

„კერძოდ, რიგ შემთხვევაში, მიმწოდებლები ვერ ახერხებდნენ სამუშაოების დროულ დასრულებას, რის გამოც ვადის გაგრძელების მიზნით მიმართავდნენ მერიას (უმეტეს შემთხვევაში, მრავალჯერ). მუნიციპალიტეტი მიწოდების ვადებს ზრდიდა სათანადო დასაბუთების გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ახანგრძლივებდა სამუშაოების დასრულების პროცესს, ხოლო ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა არ დასრულებულა. ამასთან, რიგ შემთხვევაში, თიანეთის მერია არ იყენებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას და მიმწოდებლებს არ აკისრებდა შესაბამის სანქციებს. შედეგად, დაზიანდა როგორც მუნიციპალიტეტის, ისე მოსახლეობის ინტერესები.

მაგალითად, 2019 წელს, თიანეთის მუნიციპალიტეტმა, შპს „ოთო 2013“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეისყიდა დაბა თიანეთში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 272.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2019 წლის 31 დეკემბერს. მშენებლობის პროცესში მიწოდების პერიოდი გაგრძელდა ორჯერ და საბოლოო ვადად განისაზღვრა 2020 წლის 15 თებერვალი. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა ვადის გაგრძელების მიზეზები. ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადიდან გასულია ორი წელი და სამუშაოები 2022 წლის ივნისის მდგომარეობითაც დაუსრულებელია“.

დასასრული მე-8 გვერდზე

თიანეთის მუნიციპალიტეტის აუდიტის ანგარიშს გენერალური პროკურატურა სწავლობს

მე-7 გვერდიდან

აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა შეასრულა მხოლოდ 156.0 ათასი ლარის (57%) ღირებულების სამუშაო. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები არ დასრულებულა, ავანსად მიღებული თანხიდან, 42.1 ათასი ლარი, მიმწოდებელს არ დაუბრუნებია. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტიას, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელს გაეცა საავანსო თანხა, გაუვიდა ვადა.

„გარდა ამისა, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები, თუმცა მუნიციპალიტეტს არც ამ შემთხვევაში გამოუყენებია არსებული შესაძლებლობები. კერძოდ, არ არის დარიცხული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო, შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით, რაც 5.8 ათასი ლარს შეადგენს; არ არის დარიცხული გეგმა გრაფიკის დარღვევაზე განსაზღვრული პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%, რაც 41.3 ათას ლარს შეადგენს; არ არის მოთხოვნილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა – 13.6 ათასი ლარი. გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა 2021 წლის 31 იანვრამდე. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელმა შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომლითაც მუნიციპალიტეტისაგან ითხოვს სამუშაოების გაგრძელებაზე ნებართვას“.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2021 წელს, თიანეთის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „მილენიუმ ბილდერს გრუპთან“, რომელიც ითვალისწინებდა დაბა თიანეთის შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებას, ღირებულებით – 1 002.6 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2021 წლის 21 სექტემბრამდე, თუმცა მშენებლობის პროცესში ვადა გაგრძელდა იმავე წლის 21 ოქტომბრამდე. მიმწოდებელმა ვერ დაასრულა სამუშაოები და 2021 წლის 6 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულება.

„წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შეასრულა 283.6 ათასი ლარის (28%) სამუშაო. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელს ავანსად მიღებული თანხიდან არ დაუბრუნებია 73.1 ათასი ლარი და არც მუნიციპალიტეტს გაუტარებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები თანხის მისაღებად – გასულია ექვს თვეზე მეტი. გარდა ამისა, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – 45.1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის გადახდილი, ხოლო თანხის მისაღებად მუნიციპალიტეტს სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია“.

გარდა ამისა, ოთხი ხელშეკრულების ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტში დაუსრულებელია 2019 წელს შესყიდული 969.2 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები. აუდიტორების მტკიცებით, ეს ხელშეკრულებები შეწყვეტილია, ხოლო მიმწოდებლების მიმართ გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო, დარიცხულია პირგასამტეხლოს თანხები, ჯამურად – 293.7 ათასი ლარი, რომელიც არ არის გადახდილი. ასევე, ორი ხელშეკრულების ფარგლებში, მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა, რომელიც შეადგენდა 34.5 ათასი ლარს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს დარიცხული და საგარანტიო თანხების მისაღებად შესაბამისი ღონისძიებები არ განუხორციელებია.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მიმწოდებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში,

შეუსრულებელია 2 643.9 ათასი ლარის სამუშაო, ხოლო ავანსის სახით გაცემული თანხიდან არ არის დაბრუნებული 115.2 ათასი ლარი.

„გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კუთვნილი 434.0 ათასი ლარი ჯარიმებისა და გამოუყენებელი საბანკო გარანტიის სახით. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა საკუთარ ინტერესებს და არ ატარებდა საკმარის და შესაფერის სამართლებრივ ღონისძიებებს მშენებლობების გასაგრძელებლად და კუთვნილი საბიუჯეტო შემოსავლების მისაღებად. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ მიმწოდებლებთან შეთანხმებით, მათი ინტერესების სასარგებლოდ“.

დაურიცხავი პირგასამტეხლოს თანხები

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადა. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამუშაოების დასრულების ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

„2020-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის შესყიდვისა და ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესი, თიანეთის მერიამ, ზოგ შემთხვევაში, წარმართა ხარვეზებით. კერძოდ, მერია არაობიექტურად ზრდიდა ობიექტის მიწოდების ვადებს და, შესაბამისად, სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისთვის არ იყენებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სამუშაოების დასრულების ვადის ზრდის მიზეზებად, ძირითადად, დასახელებულია არახელსაყრელი კლიმატური პირობები. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები უამინდობის მოტივით გაიზარდა ხუთი ხელშეკრულების შემთხვევაში, ღირებულებით – 1 630.8 ათასი ლარი. ხელშეკრულებების ცვლილებების საფუძველია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოდან“ წარმოდგენილი ცნობები ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო დაწესებულებების მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. სახლემწიფო აუდიტორების მტკიცებით, თიანეთის მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. გარდა ამისა, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები შეიცავს მონაცემებს კონკრეტულ პერიოდში ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ და არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია.

„ამდენად, მიწოდების ვადის გადაწევის რეალური მიზეზი იყო სამუშაოების არასათანადო შესრულება. ნაცვლად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს განეხორციელებინა შესაბამისი რეაგირება, მიმწოდებლებს არაობიექტურად უხანგრძლივებდა სამუშაოების შესრულების ვადებს და არ იყენებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საჯარიმო სანქციას. მაგალითად, 2020 წელს, სოფლების – ნაქალაქარის, ჩაბანოსა და ახალსოფლის საბავშვო ბაღების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კლიმატური პირობების გამო, საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე, მიმწოდებელს ორჯერ გაუგრძელდა ვადა, სულ – 58 დღით“.

იმ შემთხვევაში, თუკი მუნიციპალიტეტი არ შეცვლიდა ხელშეკრულებების პირობებს, ხუთი ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლებს დაერიცხებოდათ პირგასამტეხლო, სულ – 86.1 ათასი ლარის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, დაბა თიანეთში, შიდა გზების რეაბილიტაციის მიზნით, 2021 წელს ხელშეკრულება გაფორმდა შპს „გზები და კეთილმოწყობასთან“, ღირებულებით – 1 276.3 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2022 წლის 5 იანვრამდე, თუმცა მიმწოდებელს პერიოდულად უგრძელდება დასრულების ვადა. შედეგად, სამუშაოები მიმდინარე პერიოდშიც დაუსრულებელია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ თიანეთის მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ იცავდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. მიწოდების ვადები გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. ეს კი წარმოშობს რისკს, რომ კონკრეტული მიმწოდებლების მიმართ, მუნიციპალიტეტს გააჩნდა სუბიექტური მიდგომა.

სამართალი

№34 16 ოქტომბერი 2024 წ

ძმამ მაღალჩინოსანი და დანით მოკლა

სისხლიანი ოჯახური დრამა

ბათო ჯაფარიძე

როგორც წესი, უახლოესი დაქალები ერთმანეთს ხშირად ათხოვებენ ხოლმე სამკაულებს, პარფიუმერიას, ტანსაცმელს და ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია. აი, მამაკაცებს შორის ასეთი რამ იშვიათად ხდება. პრაქტიკულად, გამორიცხულია, კაცმა ძმაკაცს სთხოვოს, პაემანზე მივდივარ და შარვალი მათხოვე, ან ფეხსაცმელი მომეციო. ქალები კი ცვლიან კაბებს, ზედატანს, თავსაფარს, საყურეს, ყელსაბამს, ჩანთებს...

კომუნისტების დროს, თანამდებობის პირებს ბევრ რამეს პატიობდნენ და ამ „ბევრში“ კრიმინალიც შედიოდა. მამაკაცებმა იცოდნენ, რომ ვინმე არ უნდა მოეკლათ, არ უნდა გაეუპატიურებინათ (ყოველ შემთხვევაში, ამის გამო, არავის უნდა ეჩივლა, თორემ ძალადობა, განსაკუთრებით სამსახურეობრივი, არცთუ იშვიათი იყო), ნარკოტიკები არ უნდა გაესაღებინათ და ნაარკოდამოკიდებულები არ უნდა ყოფილიყვნენ. დანარჩენი კი... ყვლიფე და ღლიტე ქვეყანა, როგორც შეგიძლია, რანაირადაც შეგიძლია და რაც მთავარია, ამ ნაყვლეფის გაყოფაც უნდა გცოდნოდა. მაღალჩინოსან ქალებზეც, პრაქტიკულად, იგივე წესები ვრცელდებოდა.

მილიციის განყოფილებაში სწორედ ასეთმა გავლენიანმა ქალმა დარეკა და განაცხადა, რომ მისი კარის მეზობელი, არანაკლებ ცნობილი და გავლენიანი მაღალჩინოსანი გარდაცვლილი იპოვა. რა თქმა უნდა, შემთხვევის ადგილზე, ღამის მთელი სამმართველო გავიდა.

„დილით, ჩვეულებისამებრ, სახლიდან გამოვედი, ლიფტთან შევყოვნდი, როცა მეზობლის სახლის კარი გაიღო და იქიდან ეს უბედური გამოვიდა. ორივე ხელი მუცელზე ჰქონდა მიჭერილი, საიდანაც დანის ტარი მოუჩანდა. მე რომ დამინახა, წაიჩურჩულა, მიშველეო და ისევ შინ შევიდა ბარბაცით. მაშინვე შევყევი, ჯერ სასწრაფოში დავრეკე, მერე დახმარება ვცადე, მაგრამ ხელში ჩამაკვდა და თქვენ დაგირეკეთ. ბინაში, მის გარდა, არავინ ყოფილა, არც სადარბაზოში დამინახავს ვინმე“, – განაცხადა ერთადერთმა და მთავარმა მოწმემ თუ თვითმხილველმა.

რაღა თქმა უნდა, მთელი კორპუსი ეზოში შეიკრიბა და ოპერმუშაკებმაც ფარული გამოკითხვა დაიწყეს. მათ აინტერესებდათ, იყო თუ არა ვინმე უცხო, ხომ არ გაუგიათ ბოლო დროს, რამე კონფლიქტის შესახებ, რა ურთიერთობა ჰქონდა მთავარ მოწმეს გარდაცვლილთან? ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა – გარდაცვლილი და მთავარი მოწმე უახლოესი მეგობრები იყვნენ, ყოველ საღამოს ერთად ან ჩაის მიირთმევდნენ, ან – ყავას, საყიდლებზეც ერთად დადიოდნენ და დასასვენებლადაც. რაც მთავარია, ორივეს მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა და თუ მოკლული უშვილო იყო, მთავარი მოწმე ორი შვილის დედა გახლდათ და ორივე დიდი იყო, ცალკე ცხოვრობდა. გარდაცვლილის ბინაში ექსპერტები მუშაობდნენ და მთავარი მოწმე ამბობდა, რომ დანის ტარზე აუცილებლად იქნებოდა მისი ანაბეჭდები, რადგან ის ტარს შეეხო, მერე კი ხელები დაიბანა.

„ბინაში ახალი ანაბეჭდები ბევრია და ყველა მათგანი მოწმეს ეკუთვნის. საინტერესოა, რომ მისი ანაბეჭდებია უჯრებში, კარადის სახელურებზე, პრაქტიკულად, ყველგან. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ის გარდაცვლილის ბინაში რაღაცას ეძებდა და შეეხო ყველაფერს, გამოაღო ყველაფერი, რისი გაღებაც კი შეიძლებოდა“, – ეწერა ექსპერტიზის დასკვნაში.

პატივისცემის მიუხედავად, ქალი დაკითხვაზე დაიბარეს და ექსპერტიზის დასკვნა წინ უხმოდ დაუდეს. ქალმა სწრაფად ჩაიკითხა, რაც, სავარაუდოდ, ისედაც იცოდა, ამოიხვნეშა და დაიწყო:

„სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვაღიარო. მოგეხსენებათ, ქალები ხშირად ვაძლევთ ხოლმე ერთმანეთს სხვადასხვა ნივთს, ვათხოვებთ, ვთხოულობთ და ეს ჩვეულებრივი ამბავია. მე და იმ უბედურსაც, პრაქტიკულად, სულ გაცვლა-გამოცვლა გვქონდა, არც კი ვიცოდით, რომელი ჩასაცმელი რომლის იყო, დილით ერთმანეთს გამოვპრანჭავდით ხოლმე და საღამოს იმაზე ვმსჯელობდით, მეორე დღეს რა ჩაგვეცვა. დაახლოებით, ორი თვის წინ, ჩემგან ოქროს ყელსაბამი ინათხოვრა, მითხრა, მნიშვნელოვან შეხვედრაზე მივდივარო. ეს ყელსაბამი ძალიან ძვირფასი იყო, ბრილიანტის თვლები ჰქონდა საკიდზე და მეც იშვიათად ვიკეთებდი. გამორიცხული იყო, სხვისთვის მეთხოვებინა, მაგრამ საუკეთესო მეგობარმა მთხოვა და მივეცი. მერე, სასწრაფო წესით, მივლინებაში წავედი, ერთი კვირის შემდეგ დავბრუნდი და პირველი, რაც მოვიკითხე, ყელსაბამი იყო. საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა, მივლინების ამბები მომაყოლა და მეც მიმავიწყდა, მაგრამ მეორე დღეს ხომ გამახსენდა? როგორც მივხვდი, ყელსაბამი არ ჰქონდა და მითხრა, მეგობარს ვათხოვე, რომელიც საზღვარგარეთაა და რომ დაბრუნდება, მოგცემო. კინაღამ გავგიჟდი, საზღვრებს გარეთ ასეთი ნივთის გატანა, მერე უკან შემოტანა... თანაც მითხრა, ვისაც ათხოვა და მოთმინებით ველოდი. როცა ის ქალი დაბრუნდა, აეროპორტში დავხვდი და ყელსაბამი მოვთხოვე. პირი დააღო, არ ვიცი, რაზე მესაუბრებიო. მაშინვე დაქალს ვეცი და იმან მითხრა, ცოტა მაცადე და დაგიბრუნებ, რაღაცაში დამჭირდაო. ჰოდა, როცა გარდაცვლილი ვნახე, ვიფიქრე, რომ მერე აქ არავინ შემომიშვებდა და ყელსაბამი ყველგან დავძებნე, მაგრამ ვერ ვიპოვე“...

ქალი მართალს რომ ამბობდა, იქიდანაც გამოჩნდა, რომ სამართალდამცავებმა ბინაში ხელწერილიც იპოვეს, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ქალს ოქროს ყელსაბამი თანხის სანაცვლოდ, ერთ ებრაელზე ჰქონდა მიბარებული და როცა დაბრუნებას დააპირებდა, შესაბამისი პროცენტიც უნდა გადაეხადა. რიგითი მოკვდავებისთვის ეს თანხა დიდი იყო, მაგრამ არა იმ გაქანების ქალისთვის, როგორიც გარდაცვლილი იყო. მეტიც, როგორც კი ეს ამბავი მოწმემ გაიგო, თქვა, ჩემით გამოვიტანო, მაგრამ ეს ძიებისთვის შეღავათი არ იყო. ძალოვნებს ახლა ის უნდა გაერკვიათ, რისთვის სჭირდებოდა თანხა ქალს და რაც მთავარია, მის სახლში ვერ ნახეს დანაზოგი, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა. გამოდიოდა, რომ ქალს რაღაცისთვის, ან ვიღაცისთვის დიდი თანხა დასჭირდა, იმდენად დიდი, რომ მეგობრის დაუკითხავად, მისივე ყელსაბამი დააგირავა.

„გადაჭრით, მტკიცებით ფორმაში შემიძლია გითხრათ, რომ მას საყვარელი არ ჰყავდა. გამორიცხულია, არ ეთქვა, გამორიცხულია, არ შემემჩნია. არ არსებობდა საღამო, რომ ერთად არ ვყოფილიყავით და არ არსებობდა დილა, ერთმანეთს არ შევხმიანებოდით. გამოდის, რომ თუ მას საყვარელი ჰყავდა, ღამის 2-3 საათზე უნდა მოსულიყო და დილის 5-6 საათზე წასულიყო, თანაც ისე, ერთ მეზობელსაც ვერ დაენახა“, – განაცხადა დაქალმა და დანარჩენმა მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ ქალთან უცხო მამაკაცი არასდროს უნახავთ და ერთადერთი საპირისპირო სქესის წარმომადგენელი, რომელიც მასთან დადიოდა, ძმა გახლდათ. ჰო, ძმასაც საკმარისზე კარგი თანამდებობა ჰქონდა, თუმცა ცოლ-შვილი არ ჰყავდა და ამიტომ, დას ხშირად აკითხავდა. იმასაც ამბობდნენ, სამსახური დას, სწორედ ძმამ უშოვაო. რა თქმა უნდა, გამოძიებამ გარდაცვლილის ძმაც დაჰკითხა.

„არც კი ვიცი, რა შეიძლება გითხრათ. თითქოს მისი ყოველი ნაბიჯი ვიცოდი, არასდროს დაუწუწუნია, რომ ან ფული სჭირდებოდა, ან სხვა პრობლემა ჰქონდა. ფინანსურად არ მიჭირს და თუნდაც იმ ოქროს ყელსაბამის გამოსატან თანხას მარტივად მივცემდი. ეს ჩემთვის ნამდვილი შოკია“, – ამბობდა ძმა.

გამოძიებამ აღარ იცოდა, რა ექნა. მოტივი იმისა, რომ ქალი მოეკლა, პრაქტიკულად, არავის ჰქონდა, ან ჰქონდა ისეთ ადამიანს, რომელსაც არავინ იცნობდა. ისევ აგენტურულ ქსელსა და მეზობლებს უნდა ევაჟკაცათ, ან ვიღაცას სადღაც, რამესთვის ყური მოეკრა, ან რომელიმე მეზობელს უნდა გაეხსენებინა ვინმე უცხო, ვინც იმ დღეს სადარბაზოში შევიდა. მხოლოდ ერთმა მეზობელმა თქვა, უცხოსი რა გითხრათ, ერთი კაცი კი შევიდა ზუსტად იმ დროს სადარბაზოში, მაგრამ ყურადრება არ მიმიქცევია, რადგან იმ ქალის ძმას მივამსგავსეო. ძმაზე ეჭვის მიტანა რთული იყო, მაგრამ...

თუ ვინმეს ჰქონდა ფულის პრობლემა, ეს გარდაცვლილის ძმა იყო. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ის აქტიურად თამაშობდა ბანქოს და დიდ თანხებს აგებდა. ბოლოს, ძალიან სერიოზულ ხალხთან წააგო და თანხა გაუსტუმრა, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ წესით, მას ფული არ უნდა ჰქონოდა და მოგებული მხარე ფიქრობდა, რომ თანხას იმ ბინით ამოიღებდა, სადაც და ცხოვრობდა.

სამართალდამცავები ამ ამბავს ბოლომდე გაჰყვნენ და ისიც გაარკვიეს, რომ ძმას იმ კონკრეტული დროისთვის ალიბი არ ჰქონდა. კი ამბობდა, სამსახურში ვიყავიო და მოწმედ მდივანი ქალი მოჰყავდა, მაგრამ როცა ძალოვნებმა მდივანს გვარიანად შეუტიეს, მან თქვა, რომ ალიბის განაღდება მამაკაცმა სთხოვა.

„ჰო, მე შემომაკვდა. მართლა არ მომიკლავს, შემომაკვდა. რამდენჯერმე ვთხოვე დიდი თანხა, ის ყელსაბამიც ჩემს გამო დააგირავა, მშობლების საფლავი დავიფიცე, რომ აღარ ვითამაშებდი და... მაინც ვითამაშე, ისევ ფულზე რომ მივედი, მითხრა, ჩემი ძმა არ ხარო. თვალთ დამიბნელდა, ის ხომ მე შევქმენი, მე მივეცი ყველაფერი და დანა ინსტიქტურად დავარტყი“, – განაცხადა ბრალდებულმა.

სასამართლომ, დის მკვლელობაში ბრალდებულ ძმას მხოლოდ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

როგორ მოკლა ქალმა ქმრის საყვარელი

სოფლელი გოგოს ტრაგიკული ამბავი

ბათო ჯაფარიძე

ჩემს ბავშვობაში მოხდა ასეთი რამ – ძმებმა ცოლად დები მოიყვანეს და ქორწილიც ერთ დღეს გადაიხადეს. საქართველოში ასეთ რამეს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ადრე, ღამის 5-7 თაობას მიჰყვებოდნენ, წინაპრებში საცოლის ან საქმროს მოგვარე რომ არ გამორეულიყო. ჰო, მოგვარე და არა – ნათესავი და ხშირად ყოფილა, რომ ვიღაცის დიდი ბებიის ბებია საცოლის მოგვარე ყოფილა და გარიგება ჩაშლილა. ახლა, ამას დიდ ყურადღებას აღარ აქცევენ ანუ ასე შორს აღარ მიდიან. ისე კი, თუ გოგოს ბიჭი მოსწონდა, თუ ურთიერთობა სერიოზული იყო, გამორიცხული (ან თითქმის გამორიცხული) გახლდათ, რომ სხვას, სანათესაოდან, მისთვის თვალი დაედგა.

მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მივიდა და განაცხადა, რომ მისი საცოლე გარდაიცვალა, გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად თვითმკვლელობა დასახელდა, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ საცოლე თავს არ მოიკლავდა.

„ჩვენ სოფელში ვცხოვრობდით, ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი. მშობლები დაეხოცა, სულ მარტო დარჩა და ცოლად მოყვანას ვაპირებდი, დავნიშნე კიდეც. რაიონში წავიდა, იქ მისი ბიძაშვილი ცხოვრობს, თმის გაკრეჭვა უნდა ესწავლა, მერე სოფელში პატარა ოთახი აეღო და თავისი საქმე ჰქონოდა. სამ თვეში ვისწავლიო, ასე თქვა და მეც სამუშაოდ სხვა ქალაქში წავედი. ორი კვირის წინ გარდაცვლილა, არავინ მითხრა, იმ ბიძაშვილმა დასამარხად მოაყენა სოფელს, ასე თქვა, თავი მოიკლაო, იმ დღესვე დაამარხინა და უკან გაბრუნდა. არ მჯერა, რომ თავს მოიკლავდა, არა“, – ამბობდა ახალგაზრდა კაცი.

სამართალდამცავები ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ რეალურად, არაფრის გაკეთებას აპირებდნენ. ყველა ვერსიით, გოგონამ თავი მოიკლა, ექსპერტმა დასკვნაში დაწერა, რომ მან საძილე საშუალების დიდი დოზა მიიღო, შემდეგ აბაზანაში ჩაწვა, ვენებიც გადაიჭრა და ასე გარდაიცვალა. ოთახში არ იყო არც ძალადობის კვალი, არც უცხო ადამიანის ყოფნის რამე ფაქტი. გარდაცვლილი ბიძაშვილმა ნახა, სასწრაფოში დარეკა, მაგრამ გოგონა ვერ გადაარჩინეს.

„რაა? ვენები გადაიჭრა? ჰკითხეთ ნებისმიერს სოფელში, თითი რომ გაჭროდა, სისხლის დანახვაზე გული მისდიოდა და ახლა, თქვენ მეუბნებით, რომ თავისი ხელით ვენები გადაიჭრა? სისულელეა, სიგიჟეა... თან დანით... ამას არასოდეს იზამდა“, – ახალგაზრდა კაცი ბოლო ხმაზე ყვიროდა, მაგრამ მას წინ ექსპერტიზის დასკვნა დაუდეს და... აი, რაც მერე დაიწყო, სრულიად მოულოდნელი გახლდათ.

„თქვენ ვინ ყოფილხართ, თქვე არაადამიანებო. უწესიერეს გოგოზე რეები გიწერიათ? ორსულად იყოო, რომ ამბობთ, ნორმალურები ხართ? საკოცნელადაც კი არასდროს მიმიშვა ახლოს და თურმე, ბავშვობის, წლების სიყვარული დაივიწყა, ორ თვეში ვიღაც გაიცნო, შეუყვარდა კიდეც, მასთან იყო კიდეც, დაორსულდა კიდეც და თავიც მოიკლა. ხვდებით, რამხელა აბსურდია? ასე არ ხდება, ეს შეუძლებელია“, – ახალგაზრდა კაცის დაწყნარებას მთელი განყოფილება ვერ ახერხებდა.

რეალურად, მისი სიტყვები სიმართლესთან ახლოს იყო, მაგრამ ყველა საგამოძიებო მოქმედება უვე ჩატარებული გახლდათ და ეჭვი არ არსებობდა, რომ ეს თვითმკვლელობა იყო და არა – მკვლელობა. რადგან საქმე დახურული არ გახლდათ, ძალოვნებმა პირობა დადეს, რომ არ მიაფუჩეჩებდნენ და ბოლომდე გაჰყვებოდნენ. ამიტომ, პირველ რიგში, ისევ გარდაცვლილის ბიძაშვილი დაჰკითხეს.

„ახალს ვერაფერს გეტყვით. ჩამოვიდა, სწავლა დაიწყო, გინდა თუ არა, ისეთი პარიკმახერი უნდა გამოვიდე, ჩემთან ქალაქიდანაც იარონო. არ შემიმჩნევია, ვინმე ჰყოლოდა, ან სად უნდა შეხვედროდა, მე საღამოს მუდმივად სახლში ვიყავი, ის დღისით – მუდმივად კურსებზე. მისმა ორსულობამ ზუსტად ისე დამაბნია, როგორც მისი საქმრო დაიბნა, ამიტომ გადავწყვიტე, რომ იმ დღესვე დამემარხა, როცა სოფელში ჩავასვენე, მეზობლებს რომ ბევრი არ ეჭორავათ და კითხვები არ დაესვათ“, – განაცხადა ქალმა.

მისი სიტყვები რეალობასთან ძალიან ახლოს იყო და გამომძიებელმა ამჯერად იმ გოგონების დაკითხვა გადაწყვიტა, რომლებიც მასთან ერთად სწავლობდნენ სტილისტობას. გოგონებმაც მხრები აიჩეჩეს, ვერასდროს დავიჯერებდით, რომ მას თავის მოკვლა შეეძლო, ცხოვრება უხაროდა, ძალიან ბედნიერი იყოო. მეგობარ მამაკაცზე არც მათ იცოდნენ რამე, თუმცა...

„ერთხელ, დილით ავად გავხდი, გაკვეთილი გავაცდინე, მაგრამ მერე სიცხემ გამიარა, გარეთ გამოვედი, გულმა მაინც აქეთკენ გამომიწია და დავინახე, როგორ ჩაუჯდა გარდაცვლილი ვიღაც მამაკაცს მანქანაში, როგორ ჩაეხუტა და როგორ წავიდნენ ერთად. არც მანამდე და არც მას შემდეგ, ისინი ერთად არ მინახავს. მანქანა „ვოლგა“ იყო, მამაკაცი კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ მომეჩვენა, ასე, 40 წლამდე იქნებოდა“, – სამართალდამცავებს ეს სიტყვები ერთ-ერთმა გოგონამ უთხრა.

გამოდიოდა, რომ გარდაცვლილს მეგობარი მამაკაცი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ „ვოლგით“ მისი ძებნა სისულელე იყო, ამიტომ მამაკაცთან დაკავშირებით, კითხვა მეზობლებს დაუსვეს და უცნაური პასუხი მიიღეს – გარდაცვლილს არა, მაგრამ მის ბიძაშვილს „ვოლგით“ მამაკაცი კი აკითხავდაო. არადა, ბიძაშვილს მამაკაცზე არაფერი უთქვამს და ის დაკითხვაზე ისევ დაიბარეს.

„ჩემი პირადი ცხოვრება თქვენი საქმე არ არის. მე რა, არ მაქვს უფლება, ვინმეს ვხვდებოდე? გასათხოვარი ვარ, ცხოვრება წინ მაქვს... არ ვაპირებ, ანგარიში ჩაგაბაროთ“, – თავიდან მკვახედ კი დაიწყო ქალმა საუბარი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც აუხსნეს, რომ საქმის მიმდინარეობა შესაძლოა შეცვლილიყო და თვითმკვლელობა მკვლელობად გადაკვალიფიცირებულიყო, ის იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა.

„ჰო, იყო ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი... ცოლად უნდა გავყოლოდი, ყველაფერი სერიოზულად გვქონდა, მაგრამ მერე ეს სოფლელი გაიცნო, გადაირია, მოვიხიბლე მისი უბრალოებით და პატიოსნებით, ერთი-ორჯერ მანქანით გაასეირნა და მეტი რა უნდა, სოფლელ გოგოს? დაინახა სერიოზული კაცი, მანქანა, ფული და გადაეკეტა გონება. მეც კი გამომიცხადა, არ გეწყინოს, მაგრამ ცოლად შენს საქმროს უნდა გავყვეო. როცა გავიგე, რომ ორსულად დარჩა და იმან მიაგდო, საერთოდ გავცოფდი. ვცდილობდი, მას შევხვედროდი, ყველაფერი ამეხსნა, მეიძულებინა, რომ ბიძაშვილი ცოლად მოეყვანა, მაგრამ არ მხვდებოდა, თავს მარიდებდა. ამიტომ, სამსახურთან დავუდარაჯდი და იქ ჩავუხტი მანქანაში. იცით, რატომ მჯერა, რომ ის მკვლელი არ არის? იმიტომ, რომ როცა ეს უბედური შემთხვევა მოხდა, მე მის „ვოლგაში“ მქონდა ისტერიკები. ამიტომ მჯერა, რომ ამ შტერმა გოგომ თავი მოიკლა“, – განაცხადა ბიძაშვილმა და რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებს იმ კაცის სახელი და გვარიც უთხრა.

„მე არავის არაფერს შევპირებივარ, ან რას უნდა შევპირებოდი, ცოლი მყავს, შვილები... გართობის უფლება ხომ მაქვს? მე ვუთხარი, ცოლად მოგიყვან-თქო? არ მთქვამს, არც იმის ბიძაშვილისთვის მითქვამს. დავინახე გოგო, მომეწონა, მანქანით გავისეირნეთ, ცოტა შამპანური დავლიეთ და ყველაფერი ნებით მოხდა. როცა მითხრა, ორსულად ვარო, 300 მანეთი მივეცი, აბორტი რომ გაეკეთებინა, უარი მითხრა და შევეშვი, რაც გინდა, ის გააკეთე, ჩემი სახელი არსად ახსენო-მეთქი. მაინც ვერ მოითმინა, სახლში დარეკა, ჩემს ცოლს ყველაფერს მოუყვა. საბედნიეროდ, მეუღლე გაგებით მოეკიდა ამ ამბავს, მერე მთხრა, თუ იმას ბავშვი არ ენდომება, ჩვენ წამოვიყვანოთ, ჩვენ გავზარდოთო“, – თავი იმართლა კაცმა, რომელსაც მართლაც მყარი ალიბი ჰქონდა.

დაკითხვაზე მეუღლემაც აღიარა, რომ გოგონამ დაურეკა, სთხოვა, ეგებ, ქმარი დამითმოო, რაზეც ქალმა უარი განცხადა. დახმარებას დაჰპირდა, თუმცა არ დასცალდა, რადგან მანამდე, გოგომ სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. ქალი ძალიან მშვიდად საუბრობდა, გამომძიებელი კი, მხოლოდ მის მაჯას დასცქეროდა და სხვას ვეღარაფერს ამჩნევდა. ქალს შავი პერანგი ეცვა, რომელსაც ძალიან უცნაური, სამკუთხედი ღილები ჰქონდა და... სწორედ ასეთი ღილი ეგდო აბაზანაში, თუმცა მაშინ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, უბრალოდ, საქმეში ჩადეს. სწორედ ამ ღილის საფუძველზე, ქალს ბრალი წაუყენეს და რაც მთავარია, მას მკვლელობის მომენტისთვის, ალიბი არ ჰქონდა.

„არ ვარ იმ ასაკში, ცხოვრება ახლიდან დავიწყო, თორემ ამ იდიოტს მივატოვებდი. ვხვდებოდი, რომ შანსი იმისა, იმ სოფლელთან გაქცეულიყო, დიდი გახლდათ და ამიტომ, გოგოს მშვიდად ვესაუბრე, შეხვედრაზე შევითანხმე და შინ მივადექი. ჩაით გამიმასპინძლდა, დასაძინებელი ჩავუყარე და როცა გათიშვა დაიწყო, ვუთხარი, ორსულობის ბრალია, წამოდი აბაზანაში, ცივი წყალი შეისხი-მეთქი. აბაზანაში სრულად გაითიშა და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. რა თქმა უნდა, ჩადენილს არ ვნანობ, მე ჩემი ბედნიერებისთვის ვიბრძოდი“, – განაცხადა ქალმა, რომელსაც „ბედნიერებისთვის ბრძოლა“ 10 წლით თავისუფლების აღკვეთად დაუჯდა.

ბათო ჯაფარიძე

დღეს, ყველა სოლიდურ დაწესებულებაში, ოფიციანტად, დაქირავებული პერსონალი მუშაობს. მფლობელი მათ არჩევს, ხელფასს უხდის, აკვირდება და იმის მიუხედავად, რომ თითქოს ოფიციანტები ათასგვარ ტრენინგებსა თუ სწავლებას გადიან, მაინც ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც უმაღლეს დონეზე მუშაობა შეუძლია. ჰო, ერთი შეხედვით, ამ იოლ პროფესიას ბევრი ისეთი თვისება სჭირდება, რომელიც შინაგანადაც უნდა გქონდეს. მაგალითად, არ შეიძლება, სტუმარს, როგორც ერის მოღალატეს, ისე უმზერდე; არ შეიძლება, ადამიანს, რომელიც სოლიდურ თანხას დახარჯავს, ბურტყუნით აგინო, აქაოდა, საიდან ამდენი ფულიო. ჰო, როცა მენიუ მიგაქვს, ან კერძების დაწყობას იწყებ მაგიდაზე, საჩვენებელი თითი ცხვირზე არ უნდა წაისვა თუ გაისვა...

გაუპატიურებების სერია პროვინციულ რესტორანში

ვინ იყო ოფიციანტი, რომელიც თანამშრომელ ქალებს ჯერ ძილის წამალს ასმევდა, შემდეგ კი მათზე ძალადობდა

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ოთხიოდე წლის წინ, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოხდა. უფრო სწორად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, სადაც მცირე რესტორნის მეპატრონეს კლიენტი არ აკლდა (არც ახლა აკლია), ნატურალურ საკვებს ჰყიდდა და ჰყიდის, მზარეულიც კარგი ჰყავს და ყოველნაირად ცდილობს, მომსახურე პერსონალად ისეთი ადამიანები შეარჩიოს, რომლებიც ელემენტარულ სტანდარტებს დააკმაყოფილებენ. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, რესტორანში ორი ახალგაზრდა შევიდა. ისინი ადრეც ყოფილან, კარგი მხარჯველები იყვნენ, მაგრამ ერთი ცუდი თვისება ჰქონდათ – როცა დათვრებოდნენ, რესტორნის მომსახურე პერსონალს შავ დღეში აგდებდნენ, უფრო კონკრეტულად კი, ქალებს, რომლებსაც უხამსად ეხუმრებოდნენ და საუნაში ეპატიჟებოდნენ... ამიტომ, როცა ისინი მოდიოდნენ, ყველა გოგონამ თუ ქალმა იცოდა, რომ მათ მაგიდასთან არ უნდა მისულიყვნენ და მომსახურეობას მხოლოდ მამაკაცები უწევდნენ.

ასე იყო იმ დღესაც, ბიჭები ნება-ნება წრუპავდნენ კონიაკს და შემდეგ, ერთ-ერთმა, მათ მაგიდასთან ჩავლილ გოგონას უკანალზე ხელი მოუთათუნა. რესტორნის მეპატრონემ ყველაფერი დაინახა, თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია, მერე წამოდგა და ხმამაღლა თქვა – „მორჩა, ჩემს რესტორანში ვეღარასოდეს მოხვალთ. თქვენ პირობა დაარღვიეთ, თქვით, რომ ამას აღარასოდეს იზამდით. შეგიძლიათ, ანგარიში გაასწოროთ და წახვიდეთ, ან ჩემი ბიჭები უბრალოდ გაგაგდებენ“.

ნასვამმა ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგიდაზე 100-დოლარიანი დააგდეს, ხელი აიქნიეს და კარისკენ გინებით დაიძრნენ. ყველამ შვებით ამოისუნთქა...

დაახლოებით 15 წუთში, რესტორნის მეპტრონე ეზოში გავიდა, მერე უკან შემოვიდა, დარბაზს თვალი მოავლო და მხრები აიჩეჩა – იმ ბიჭების მანქანა აქ დგას და ნეტავ, ფეხით ხომ არ გაუყვნენ გზასო? პერსონალმა გულგრილად გაატარა ეს ამბავი, მაგრამ ამ დროს, დარბაზში მზარეულის თანაშემწე ქალი შემოვარდა და რესტორნის მეპატრონეს ყვირილით უთხრა, ის ბიჭები საპირფარეშოში, მგონი, გარდაცვლილები ყრიანო. ყველა იქით გაიქცა. ვიღაცამ მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა და საბედნიეროდ, ექიმებმა იქვე თქვეს, ორივე ცოცხალია, მაგრამ ბევრი სისხლი აქვთ დაკარგული, ამიტომ საავადმყოფომდე უნდა მივასწროთო. რა თქმა უნდა, სასწრაფოს საპატრულო პოლიცია მოჰყვა. ყველა ერთმანეთს უყურებდა, რადგან რესტორანში სხვა კლიენტი არ იყო და თუ ვინმემ გაიმეტა სტუმრები, ის აუცილებლად რესტორნის თანამშრომელი უნდა ყოფილიყო. ობიექტის მფლობელმა თავზე ხელი გადაისვა და დანანებით ჩაილაპარაკა, მერამდენედ ვნანობ, კამერები რომ არ მაქვს და კაცი არ ვიყო, თუ ერთ კვირაში არ დავამონტაჟოო. სამართალდამცავები და ექსპერტები კი ადგილზე მუშაობდნენ.

„საპირფარეშოში მივდიოდი, მამაკაცების მხარეს კარი შეღებული იყო, ვიფიქრე, დავკეტავ-მეთქი და სისხლის გუბე დავინახე. კარი შევაღე და შესასვლელშივე, ეს ორი ეგდო, სისხლში ცურავდნენ. მაშინვე გამოვიქეცი, მეპატრონეს ვუთხარი და მერე ყველამ ყველაფერი ნახა“, – ვიშვიშით ამბობდა ქალი, რომელმაც ბიჭები პირველმა ნახა.

წინასწარი ინფორმაციით, ორიდან ერთს თავში მძიმე საგანი ჰქონდა ჩარტყმული, მეორეს კი, ბასრი საგნით ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა ეტყობოდა. ის, სავარაუდოდ, დანით დაჭრეს და, ასევე, სავარაუდოდ, თავდამსხმელი სწორედ მის მოკვლას ცდილობდა, რადგან ორივე დარტყმა გულ-მკერდის არეში იყო მიყენებული, თუმცა პირველი ნეკნებმა არ გატარა, მეორე – გულს მცირედით ასცდა. მოგვიანებით, ექსპერტმა დაადასტურა, რომ პირველი დარტყმა ნეკნებს შუა რომ არ გჩხერილიყო, სავარუდოდ, გულამდე მიაღწევდა.

„შეგიძლიათ, ეჭვმიტანილების სიიდან მზარეული გამორიცხოთ, რადგან მზარეულს ზუსტად ეცოდინებოდა, რომ დანის პირი ჰორიზონტალურად უნდა გეჭიროს და არა შვეულად, ასე ნეკნებს შორის გატარების შანსი თითქმის არ არის. ის, ვინც ეს ჩაიდინა, გამოუცდელი იყო ანუ დანასთან და ხორცთან კავშირი არ აქვს. ჰო, დანა ისეთი სიძლიერით არის დარტყმული, ნეკნი ლამის გაბზარულია, ამას კი ქალი ვერ შეძლებდა. ვერც ისეთი ჯანიანი, როგორიც მზარეულის თანაშემწე ქალბატონი იყო“, – განაცხადა ექსპერტმა.

ეს გამოძიებისთვის დიდი ვერაფერი შეღავათი გახლდათ, რადგან მზარეულის გარდა, იმ დროს, რესტორანში, მეპატრონეს ჩათვლით, კიდევ 11 მამაკაცი იყო და მკვლელობის მცდელობა ყველას შეიძლებოდა ჰქონოდა. არსებობდა იმედი, რომ დაზარალებულებმა თავდამსხმელი დაინახეს, მაგრამ პირველს ბლაგვი საგანი კეფაში ჰქონდა მოხვედრილი, მეორეს – პირველი დარტყმა ზურგიდან, მეორე – წინიდან ანუ როცა დანა მოხვდა, ის შემოტრიალდა და მეორე დარტყმა სწორედ მაშინ მიიღო. სწორედ შემოტრიალების დროს თუ დაინახავდა თავდამსხმელს და ამიტომ, ძალოვნები დიდად არ ჩქარობდნენ, იმას ელოდნენ, როდის დასრულდებოდა ოპერაცია, როდის გამოვიდოდა ნარკოზიდან დაზარალებული და როდის დაადებდა ხელს თავდამსხმელს. რა თქმა უნდა, პერსონალს შინ არ უშვებდნენ და რესტორანიც დახურეს, ყვითელი ლენტით შემოსაზღვრეს იქაურობა. რესტორნის მეპატრონე ისედაც შეთხელებულ თმას იგლეჯდა, რა დროს ეს იყო, მუშაობა ჩამივარდება, ხალხი აღარ მოვა, დაშინდებაო.

დაზარალებული აზრზე საღამოსკენ მოვიდა და იქვე მომლოდინე გამომძიებელმა პალატის კარი მოუთმენლად შეაღო. მან უკვე იცოდა, რომ რესტორნის თანამშრომლები ან ერთმანეთს აფარებდნენ ხელს, ან მართლა არაფერი იცოდნენ, რადგან ყველა მათგანს თითქოს ალიბი ჰქონდა, ყველა ყველას ხედავდა, ან ვერ იხსენებდა, ხედავდა თუ არა. ამიტომ, მთელი იმედი სწორედ დაჭრილ ბიჭზე იყო და გამომძიებელსაც იმედი ჰქონდა, ცოტა ხანში, მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილის ვინაობას გაიგებდა, მით უმეტეს, ბიჭები მომსახურე პერსონალს ძალიან კარგად იცნობდნენ, რადგან იქაურობის ხშირი კლიენტები იყვნენ.

„ბევრი მოგვივიდა, ბევრი დავლიეთ. ისიც არ მახსოვდა, რომ საპირფარეშოში წავედით, ახლა გავიგე ექიმებისგან. ვიღაცამ კი „დაგვიშვა“, მაგრამ ვინ იყო, წარმოდგენა არ მაქვს. სახეზე შეიძლება შევხედე, მაგრამ ვერ გავარჩევდი, ბინდი მქონდა თვალებზე. ზოგადადაც, არასწორად მოვიქეცით, კარგი გაკვეთილი იყო ეს ჩვენთვის და ამიტომ, არც პრეტენზია მაქვს, არც არავის დაჭერას ვითხოვ“, – განაცხადა დაზარალებულმა.

ამასობაში, რესტორანში მყოფმა ერთ-ერთმა ქალბატონმა საინტერესო ისტორია გაუმხილა ძალოვნებს. მისი თქმით, მათთან, დაახლოებით, ნახევარი წლის წინ, ადგილობრივი გოგონა მუშაობდა, მერე კი, რაღაც მოხდა, გოგომ ორ კვირაში გასამართი ქორწილი გადადო და სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდა. მისი საქმროც იქაური იყო და როცა გოგონა წავიდა, რესტორანში მუშაობა უკვე მან დაიწყო. ბიჭი ამბობდა, გავიგებ, ჩემს საცოლეს ვინ აწყენინა, ვინ შეურაცხჰყო და დანაზე წამოვაგებო. ის ბიჭი იმ დღეს ოფიციანტად მუშაობდა და სწორედ იმ ბიჭების მაგიდას ემსახურებოდა. რაც მთავარია, გოგონას „წყენინებაში“, პერსონალი სწორედ ამ ბიჭებს ადანაშაულებდა და დიდი იყო იმის შანსი, მას შური ეძია. სამართალდამცავებმა ბიჭი დააკავეს, მისი ალიბიც არ იყო მყარი, დარბაზიდან არ გავსულვარო, ვერავინ ადასტურებდა და მანაც ჩვენების მიცემა დაიწყო.

„ბევრი ვეხვეწე საცოლეს, რესტორანში რა გინდა-მეთქი, მაგრამ აქ სხვა პერსპექტივა არ იყო. რა მოხდა და ვისთან მოხდა, არ ვიცი, საცოლე ქორწილამდე ორი კვირით ადრე გაქრა, მერე იტალიიდან დამირეკა, მითხრა, ცოლად ვერ გამოგყვები, ვერ გაკადრებ, მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავი, ოღონდ, რაც მოხდა, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა და მე ნუ დამძრახავო. რაღაცები გამოვკითხე, სახელი ვერ ვათქმევინე, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ სწორედ აქ გააუპატიურეს. ამიტომ დავიწყე აქ მუშაობა და რაღაცების გარკვევა, საბოლოოდ კი, დღეს დავრწმუნდი, რომ ამ ბიჭების გარდა, ამას არავინ იზამდა. ჩადენილს არ ვნანობ, მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ვერ მოვკალი. ჰო, ვერ... არ ვყოფილვარ მკვლელი, თორემ ორივე დაბლა ეგდო, დანა ხელში მეკავა და ვეღარ გავიმეტე“, – თქვა ბიჭმა და ატირდა.

ისტორიას წერტილი აქ უნდა დასმოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. დაკავებულის საცოლე იტალიიდან დაბრუნდა და განყოფილებაში მივიდა.

„ის ბიჭები დამნაშავეები არ არიან. ერთ-ერთმა ოფიციანტმა (გოგონამ სახელი და გვარი თქვა) ყავაში რაღაც ჩამიყარა, გამაბრუა, მერე მოსასვენებელ ოთახში გამიყვანა, აქაოდა, წამოწექიო დ ბუნდოვნად მახსოვს, როგორ მჯიჯგნიდა და ძღებოდა ჩემი ხორცით. დარწმუნებული ვარ, ასე მხოლოდ მე არ მომექცა. თავზე ლაფის დასხმას და ამ ამბის მოყოლას, გაცლა ვარჩიე“, – თქვა გოგონამ და სამართალდამცავებმა უკვე რესტორნის მეორე ოფიციანტი დააკავეს. მალე, მის წინააღმდეგ ჩვენება რესტორნის ორმა ყოფილმა და ერთმა მოქმედმა თანამშრომელმა მისცა...

პოლიციამ ქვემო ქართლში, დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში დახმარებისა და სხვისი ნივთის განადგურების მცდელობის ფაქტებზე, სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ჯგუფურად დახმარებისა და სხვისი ნივთის დაზიანების მცდელობის ფაქტებზე, სამი პირი: წარსულში ნასამართლევი, 2000 წელს დაბადებული რ.ა, 2002 წელს დაბადებული ფ.ბ. და 2001 წელს დაბადებული მ.ე. დააკავეს.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სხვადასხვა დროს, საზღვარგარეთ მცხოვრები ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტის დავალებით, მარნეულის მუნიციპალიტეტში, მოქალაქეებს სიცოცხლის მოსპობისა და ქონების განადგურების მუქარით, დიდი ოდენობით თანხის გადახდა მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ, რ.ა.-მ ერთ-ერთი დაზარალებულის სახლის ეზოში, ავტომანქანის განადგურების მიზნით, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა, კიდევ ერთი მოქალაქის ეზოში კი ბრალდებულებმა მუქარის შემცველი წერილი და 3 ვაზნა გადააგდეს.

სამართალდამცველებმა სამივე პირი ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

მომხდარ ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 25-181-ე და 19-187-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ აჭარაში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული გ.ფ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა რომ ბრალდებულმა,მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელვაში, ყოფით თემაზე არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, მეზობელი – 1960 წელს დაბადებული თ.ქ., სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ გ.ფ. ცხელ კვალზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქეთევან ცინცაძე, ირაკლი ბონდარენკო და რეზო ნადარაია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები მეორე ვადით გახდნენ

ქეთევან ცინცაძე, ირაკლი ბონდარენკო და რეზო ნადარაია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები მეორე ვადით გახდნენ.

სამი მოსამართლე, მოსამართლეთა რიგით 33-ე რიგგარეშე კონფერენციაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად აირჩიეს. კონფერენციას 270-ზე მეტი მოსამართლე ესწრებოდა.

იუსტიციის საბჭოს წევრების არჩევა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც საბჭოს სამ მოსამართლე წევრს: ქეთევან ცინცაძეს, თემურ გოგოხიასა და ლევან მიქაბერიძეს თანამდებობაზე ყოფნის უფლება-მოსილების ვადა ამოეწურათ. კონფერენციაზე კი, 270-მა მოსამართლემ, ხმათა უმრავლესობით, იუსტიციის საბჭოში მოსამართლე წევრებად ქეთევან ცინცაძისთვის ვადის გაგრძელების, ხოლო რეზო ნადარაიას და ირაკლი ბონდარენკოს დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო. უფრო კონკრეტულად, ირაკლი ბონდარენკო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი 2017-2021 წლებში იყო, რევაზ ნადარაია – 2017-2020 წლებში. სამივე მოსამართლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში მუშაობას კანონის თანახმად, მორიგ ჯერზეც, 4 წლის ვადით გააგრძელებს.

ცნობისთვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სულ 15 წევრისგან შედგება, საიდანაც 6 არამოსამართლე, ხოლო 9 მოსამართლე წევრია. არამოსამართლე წევრებს პრეზიდენტი და პარლამენტი ნიშნავს, მოსამართლე წევრები კი მოსამართლეთა კონფერენციაზე შეირჩევიან.

შეგახსენებთ, ქეთევან ცინცაძე და რევაზ ნადარაია უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეები არიან. ირაკლი ბონდარენკო კი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა.

ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულს და მის თანამზრახველს, 17 და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულსა და მის თანამზრახველს, 17 და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, ბრალდებული და მისი დისშვილი, ბრალდებულის ყოფილი მეუღლის სახლში მივიდნენ, სადაც ბრალდებულმა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ყოფილ მეუღლეს დანით ზურგის არეში, სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე დაზიანებები მიაყენა.

„რუსთავის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სოფელ ვახტანგისში, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულები დამნაშავედ სცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 21 იანვარს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახტანგისში, ბრალდებული და მისი დისშვილი, ბრალდებულის ყოფილი მეუღლის სახლში მივიდნენ, სადაც ბრალდებულმა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ყოფილ მეუღლეს დანით ზურგის არეში, სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე დაზიანებები მიაყენა. ბრალდებულის თანმხლები პირი დაზარალებულს აკავებდა და გაქცევის შესაძლებლობას არ აძლევდა. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად, დაზარალებულის სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა.

დაკავებულებს ბრალდება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე წარედგინათ.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო ბრალდებულის ნათესავს, ასევე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის – 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ორი შეხვედრა, ორი მარცხი და თითქმის განულებული შანსი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ოთხ დღეში, ორი მატჩი გამართა. ერთა ლიგის წლევანდელი შესარჩევი ხმაურიანად დავიწყეთ, ორი მატჩი მოვიგეთ და ვაღიაროთ, რომ მომდევნო ორ შეხვედრაშიც მოგებას ველოდით. ჯერ ერთი, უკრაინელები არ არიან ისეთ იშტაზე, მათი დამარცხება წარმოუდგენელი ყოფილიყო და... მოდით, უკრაინით დავიწყოთ.

სტატისტიკის მხრივ, უკრაინასთან ნამდვილად ვერ დავიკვეხნით. პოზნანში გასამართ მატჩამდე, უკრაინასთან ცხრაჯერ გვქონდა ნათამაშები, საიდანაც მხოლოდ სამჯერ მივაღწიეთ ფრეს, ექვს შემთხვევაში კი დავმარცხდით. ჰოდა, ნავსი თითქოს პოლონეთში, ნეიტრალურ მოედანზე უნდა გაგვეტეხა, მაგრამ ნურას უკაცრავად – დავმარცხდით. თანაც, წავაგეთ გუნდთან, რომლის კაპიტანს, ანდრეი იარმოლენკოს მთავარ მწვრთნელ სერგეი რებროვთან, კონფლიქტი მოუხდა და რებროვმა ის განაცხადს მიღმა დატოვა. ამას გარდა, უკრაინელებს სხვადასხვა მიზეზით, ნაკრების 9 წევრი გამოაკლდათ და სწორად წუწუნებდა მატჩამდე მათი თავკაცი, პრაქტიკულად, მეორე შემადგენლობა მყავსო. ასე იყო თუ ისე, შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ საინტერესო ნამატჩევს, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელების მიერ გაკეთებული განცხადებები იყო. ყველა მათაგნი მოედნის ცუდ მდგომარეობაზე საუბრობდა და მართლაც, პოზნანის მინდვრის საფარი ძალიან, ძალიან ცუდ მდგომარეობაში გახლდათ.

„ჩემს წინ არ იყო მინდორი, იყო მიწა და იმ გოლის დროსაც, როცა გადავხტი, ფეხი ტალახში ამიცურდა და ბურთს ამიტომ ვერ მივწვდი, თორემ აუღებელი დარტყმა არ გახლდათ“, – იტყვის ნამარტჩევს გიორგი მამარდაშვილი და მართალიც იქნება – გამეორებაზე კარგად ჩანს, რომ ნახტომის დროს, მამარდას საყრდენი ფეხი უცურდება.

არადა, შეხვედრამდე, პოზნანში წვიმა არ მოსულა, მატჩამდე არავის უთქვამს, რომ მინდორი უვარგისი იყო და ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ითქვა, რომ მატჩამდე მინდორი საჭიროზე მეტად მორწყეს. კლიმატის გამო, უკრაინელ ფეხბურთელებს, ტალახში თამაში არ უჭირთ, ქართველებს კი – პირიქით, ძალიან უჭირთ და ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებიც ფონს ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გადიან, ვერაფერს აკეთებდნენ. შეთქმულების თეორიების არ გვჯერა, მაგრამ მინდვრის საფარი, 15 წუთით გამორთული შუქი და კიდევ არაერთი წვრილმანი ხელშემშლელი ფაქტები, ფიქრისა და მსჯელობის საფუძველს გვაძლევს.

რაც შეეხება ალბანეთთან შეხვედრას. ვილი სანიოლმა, ერთბაშად, 5 შემტევი ფეხბურთელი დააყენა და პირველი, რა კითხვაც გაგვიჩნდა, ის გახლდათ, რომ თავდასხმის გაძლიერების საჭიროების შემთხვევაში, ვის გაიყვანდა, ან ვის შემოიყვანდა ფრანგი სპეციალისტი. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი გამართლდა, ალბანეთი დაწინაურდა და... სანიოლს სათადარიგოთა სკამზე ისეთი ფეხბურთელი აღარ ჰყავდა, რომელიც შეტევის გაძლიერებას შეძლებდა, ამიტომ მან მცველი მცველით შეცვალა, ბოლო წუთზე კი, კუნთგაჭიმული დავითაშვილის ნაცვლად, ისევ მცველი შემოუშვა. ვერ გეტყვით, რატომ მოინდომა მწვრთნელმა ასეთი თამამი ექსპერიმენტის ჩატარება ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის დროს, მაგრამ ფაქტია – ჩვენმა ნაკრებმა ორი შეხვედრა გამართა და ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხა. ალბანეთმა კი, თბილისში გამართული მეექვსე მატჩიდან, პირველი მოიგო, წინა ხუთ შემთხვევაში, მათ ხუთი მარცხი ჰქონდათ.

ვინ შეცვლის დემჩენკოს – ქეცბაია, ცხადაძე, თუ...

მას შემდეგ, რაც ბათუმის „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად ანატოლი დემჩენკო დაინიშნა, აჭარელ გულშემატკივარს იმედი მიეცა, რომ უკრაინელი სპეციალისტი მათ ოცნებას აახდენდა და კლუბი ევროთასების ჯგუფურ ეტაპზე გავიდოდა. თუმცა, ისე მოხდა, რომ დემჩენკოს მისვლას, გუნდიდან არაერთი ლიდერის წასვლა მოჰყვა და ჯგუფურ ეტაპზე გასვლას ვინ ჩივის, ბათმელები მოქმედი ჩემპიონის ტიტულს ემშვიდობებიან.

მართალია, საქართველოს ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურია დარჩენილი, მაგრამ „დინამო“ ლიდერ „ტორპედოს“ 15 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონობა კი არა, ძალიან, ძალიან დიდი ალბათობით, ბათუმური გუნდი ევროთასების ზონის მიღმა დარჩება. ამიტომ, არავის გაჰკვირვებია, როცა პირველობის დასრულებამდე 8 ტურით ადრე, უკრაინელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ შემადგენლობით, გუნდში ვინც არ უნდა მოვიდეს, სერიოზულ მიზნებზე ფიქრი გაუჭირდება.

როგორც ამბობენ, აჭარული კლუბის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე თემურ ქეცბაიასა და კახა ცხადაძის კანდიდატურებს განიხილავს. ორივე სპეციალისტი ძალიან გამოცდილია და ქართულ ფეხბურთში მათი დაბრუნება ურიგო ნამდვილად არ იქნება, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ დარჩენილ 8 შეხვედრაში, გუნდს ადგილობრივი სპეციალისტი გაიყვანს, შემდეგ კი, ახალ მწვრთნელს დანიშნავენ, რომელიც ახალი სეზონისთვის მოამზადებს „დინამოს“ და მას სურვილისამებრ დააკომპლექტებს, თუმცა...

საქართველოს ჩემპიონატიდან ეროვნულ გუნდში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი რომ არის გამოძახებული, ბევრ რამეზე მეტყველებს. სანამ საქმისადმი სწორი მიდგომა არ გვექნება, სანამ ჩვენს ჩემპიონტში არაფრისმომცემი ლეგიონერები ითამაშებენ, სანამ ტრიბუნებზე გულშემატკივარი არ დაბრუნდება, სერიოზულ შედეგზე ფიქრი, უბრალოდ, უტოპია გვგონია.

გულშემატკივარი რონალდუს წასვლას ითხოვს

დასასრული ყველაფერს აქვს და შორს არ არის ის დრო, როცა კრიშტიანუ რონალდუ ბუცებს ლურსმანზე ჩამოჰკიდებს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ფეხბურთის მოქმედი ლეგენდა ჯერ ამის გაკეთებას არ ჩქარობს. მეტიც, ის ეროვნული გუნდის რიგებშია გამოძახებული და ერთა ლიგის მატჩებიც ითამაშა. ეს ყველაფერი კი, ადგილობრივ გულშემატკვიარს აღარ მოსწონს. რონალდუმ ნაკრების მაისურით, 2014 შეხვედრაში 132 გოლი გაიტანა, რაც რეკორდული მაჩვენებელია, მაგრამ....

„ფერნანდუ სანტუში ცდილობდა, რონალდუს ხელშეუხებლობის მითი დაენგრია, მაგრამ ის ნაკრებიდან გაუშვეს და სავარაუდოდ, ამაში კრიშტიანუს ხელიც ურევია. ახალი თავკაცი, რობერტო მარტინესი კი, მას მუდმივად ძირითადში ათამაშებს და უბრალოდ ვერ ეხება. რონალდუ არა მარტო დაბერდა, არამედ, ის ახალგაზრდების მტერია და სწორედ მის გამო, ნაკრებში ბევრმა ახალგაზრდამ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან ისინი მის პოზიციაზე თამაშობენ და მოედანზე გასვლის შანსი არ აქვთ“, – ასეთია პორტუგალიელი გულშემატკივრის აზრი, თუმცა პორტუგალიის ნაკრების მორიგ შეხვედრაში, რონალდუ საუკეთესოდ აღიარეს და მან ნაკრების მაისურით მორიგი გოლიც მიითვალა.

ისე კი, სანტუშის მოხსნას მთლიანად რონალდუს ნუ დავაბრალებთ. ეს სპეციალისტი აშკარად ვერ უძღვებოდა საქმეს და პორტუგალიიდან წასვლის შემდეგ, აზერბაიჯანის ნაკრები ჩააბარეს, სადაც მას დიდი იმედებით ელოდნენ, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა, ერთა ლიგაზე, საწყისი სამი მატჩი უშანსოდ წააგეს და უდიდესია იმის ალბათობა, რომ სანტუში მათაც გაათავისუფლონ.

ჯანმრთელი მბაპე ნაკრებში არ თამაშობს

ერთა ლიგის შესარჩევში, საფრანგეთის ნაკრებმა ისრაელს სტუმრად მარტივად, 4:1 მოუგო. ამის მიუხედავად, ფრანგი გულშემატკივარი ნაკრების კაპიტნის, კილიან მბაპეს საქციელით უკმაყოფილოა. საქმე ის გახლავთ, რომ კილიანმა თავიდანვე განაცხადა, ტრავმა მაწუხებს და ამიტომ, ნაკრებში ვერ ვითამაშებო. არადა, ამ განცხადების შემდეგ, მან „რეალის“ რიგებში, „ვილიარეალის“ წინააღმდეგ ისპარეზა, შემდეგ კი დასასვენებლად... სტოკჰოლმში გაემგზავრა.

„რას ჰგავს ეს? მბაპე სტოკჰოლმში, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად წავიდა, რამდენიმე დღე ღამის კლუბებში გაატარა და კარგად გაერთო. ამ დროს კი, ჩვენი ნაკრების სხვა წევრები შრომობდნენ და მოედანზე იბრძდნენ. თუ მბაპეს სურს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური სხვებმა მოიპოვონ, მან კი, უბრალოდ დაისვენოს და მერე მუნდიალზე წავიდეს, არ გამოვა, ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვიქნებით“, – აცხადებენ გულშემატკივრები.

„რეალის“ სამედიცინო შტაბმა დაადასტურა, რომ მბაპეს სტოკჰოლმში სავარჯიშო პროგრამაც გაატანა ანუ გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელმა უნდა ივარჯიშოს, მაგრამ ჟურნალისტების, რომლებიც კილიანს მუდმივად თან დაჰყვებიან, არ უნახავთ, რომ ის მოედანზე გასულიყო და რამე აქტივობა ჰქონოდა.

ბრაზილიის პრეზიდენტი ლეგიონერების წინააღმდეგ

სამხრეთ ამერიკაში, შესარჩევ ჯგუფში ათი ნაკრები თამაშობს, საიდანაც ექვსი პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხვდება, მეშვიდე ადგილზე გასული კი, პლეიოფს თამაშობს. ჰოდა, ახლა, მეშვიდე ადგილზე ვენესუელაა – 11 ქულით, მეოთხე ადგილზე მყოფ ბრაზილიას კი 13 ქულა აქვს ანუ ალბათობა იმისა, რომ მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონატმა ბრაზილიის გარეშე ჩაიაროს, არსებობს. მაშინ, როცა საქართველო პოზნანში უკრაინასთან მარცხდებოდა, ბრაზილიის ნაკრებმა წვალებით ჩილეს მოუგო. ჩილელები ბოლო ადგილზე არიან, სამხრეთ ამერიკაში სადღეისოდ უსუსტეს ნაკრებად ითვლებიან და ამის მიუხედავად, ბრაზილიას ძალიან, ძალიან გაუჭირდა.

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებს თავში აქვთ ავარდნილი. მათ დიდი ფული იშოვეს და სამშობლოსთვის სირბილი ეზარებათ, ამიტომ ვესაუბრე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს და ვუთხარი, რომ ნაკრებში მხოლოდ ბრაზილიაში მოთამაშე ფეხბურთელები უნდა გამოვიძახოთ ისინი, რომლებსაც მართლა უყვართ სამშობლო. ადრე, ბრაზილია მსოფლიო გრანდი იყო, ყველას ეშინოდა ჩვენი, ახლა კი, რიგით მაჩანჩალად ვიქეცით. პელესა და გარინჩას ქვეყანაში, ნაკრებში ისეთი ვარსკვლავი არ გვყავს, რომელიც ხალხს ბრაზილიურ ფეხბურთს აჩვენებს“, – განაცხადა ბრაზილიის პრეზიდენტმა, ლულა და სილვამ.

სხვათა შორის, გულშემატკივრებიც არ მალავენ, რომ ნაკრების ფეხბურთელები რატომღაც ბოლომდე არ იხარჯებიან და ისე თამაშობენ, თითქოს სასწორზე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური კი არა, უბნის საცხობიდან ბურიტოს კისრება იყოს.

რა ქონებას ფლობს ნათია მეზვრიშვილი

გახარიას პარტიის თავმჯდომარის მოადგილის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

ის ახლა გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილეა და აქტიურადაა ჩართული პოლიტიკურ მოლაპარაკებებში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი უძღვება. მართალია, მისმა პარტიამ ქარტიაზეც მოაწერა ხელი, თუმცა დააზუსტა, რომ ქარტიაზე ხელმოწერა მათთვის ერთგვარი კომპრომისი იყო: „ეს კომპრომისი, განსაკუთრებით ტექნიკური მთავრობის ნაწილში დავუშვით, რადგან ჩვენთვის ეს არის გზა, რომ არ ჩამოყალიბდეს მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა, ეს არის ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი და წითელი ხაზი“, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა 14 ოქტომბერს და იქვე დასძინა, რომ როდესაც ქარტიაზე ხელი მოაწერეს, პრეზიდენტმა იცოდა მათი პოზიცია სამივე პუნქტზე.

ვიდრე პარტიები 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის ემზადებიან, „ვერსია“ ნათია მეზვრიშვილის ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თუმცა მანამდე, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.

ნათია მეზვრიშვილის ბიოგრაფია

ნათია მეზვრიშვილი დაიბადა 1985 წლის 19 აპრილს, თბილისში. 2002-2006 წლებში, სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (ბაკალავრის ხარისხი); 2006-2008 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე (მაგისტრის ხარისხი); 2016-2017 წლებში – ცინცინატის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, აშშ, ოჰაიო (მაგისტრის ხარისხი LLM).

2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სტაჟიორად; 2007-2009 წლებში – ძველი თბილისის რაიონულ პროკურატურაში, პროკურორის პოზიციაზეა; 2009 წელს – საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის პროკურორია; 2009-2010 წლებში – საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორი; 2010-2012 წლებში – საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს რეგიონულ ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი; 2012-2013 წლებში – საქართველოს მთავარი პროკურატურის სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი; 2013 წელს – საქართველოს მთავარი პროკურატურის იურიდიული სამმართველოს უფროსი; 2010-2015 წლებში – მიწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2012 წლიდან – მიწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2014 წლიდან – ასისტენტ-პროფესორი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში.

2013 წლიდან – საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი; 2017-2019 წლებში, ნათია მეზვრიშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა; 2019 წლის 19 სექტემბერს, დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსად; 2019 წლის 2 ოქტომბერს, დაინიშნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად. 2020 წლის 23 ნოემბერს, ნათია მეზვრიშვილი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან.

ნათია მეზვრიშვილის ქონება

სულ ბოლო დეკლარაცია ნათია მეზვრიშვილმა 2021 წლის 27 თებერვალს ჩააბარა, როგორც მთავრობის ადმინისტრაციის მაშინ უკვე ყოფილმა უფროსმა. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მის 100%-იან საკუთრებაშია 14.61 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, ჩხიკვაძის ქუჩაზე, რომელიც 2014 წელს, 48 000 აშშ დოლარად შეუძენია. აქვს მიმდინარე და სახელფასო ანგარიშები თიბისი ბანკსა და ტერა ბანკში. მისი, როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის წლიური შემოსავალი 75 684 ლარია.

დეკლარაციიდანვე ირკვევა, რომ 2014-2024 წლების ვადაში, საქართველოს ბანკიდან აუღია 57 500 აშშ დოლარის ოდენობის სესხი, რომლის ყოველთვიური გასავალია 7 998.72 აშშ დოლარი.

„მელოტი“ სექსუალურ ძალადობას გაუთანაბრეს

ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სექსუალური ძალადობაა, თუკი მამაკაცს ეტყვით, რომ ის „მელოტია“. როგორც Daily Mail-ი წერს, ახლა ძლიერი სქესის წარმომადგენლის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვა ძალადობად კვალიფიცირდება. ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი სასამართლო განხილვის შედეგია. ინგლისელი ტონი ფინი მის ყოფილ დამსაქმებელს, კომპანია British Bung-ს უჩიოდა, საიდანაც ფინი 2021 წელს გაათავისუფლეს. მან სააპელაციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და ამტკიცებდა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა შეურაცხყოფის გამო, რაც მისმა უფროსმა ჩხუბის დროს მიაყენა. უფროსმა მას „მელოტი ნაბიჭვარი“ უწოდა. 2022 წელს, სასამართლომ განაჩენი ფინის სასარგებლოდ გამოიტანა, თუმცა დამსაქმებელმა ის მაშინვე გაასაჩივრა. საბოლოოდ, აპელაცია უარყოფილი აღმოჩნდა, მოსამართლემ განაცხადა, რომ ყოფილი უფროსის ნათქვამი სიტყვები ტონის სიმელოტეზე „გენდერთან არის დაკავშირებული“. მისი თქმით, მამაკაცის სიმელოტის აღნიშვნა სამსახურში იგივეა, ქალის მკერდის ზომაზე გააკეთო კომენტარიო. საბოლოო განაჩენი ფინს საშუალებას აძლევს, კომპენსაცია მოითხოვოს არასამართლიანი გათავისუფლებისა და სექსუალური ძალადობისთვის.

ყველაზე პატარა რუბიკის კუბიკი ააწყვეს



იაპონურმა კომპანიამ MegaHouse, მსოფლიოში ყველაზე პატარა რუბიკის კუბიკი წარადგინა, რომლის ყოველი კუთხეც ალუმინისგან არის დამზადებული და სულ ხუთ მილიმეტრამდე შეადგენს. კომპანიის პრეზიდენტის თქმით, ასეთი უნიკალური კუბიკის შექმნა შესაძლებელი გახდა უზუსტესი დანადგარების, მჭრელი ინსტრუმენტებისა და მოთამაშეების ვნებების წყალობით. უმცირესი რუბიკის კუბიკი სულ 0.3 გრამს იწონის და ორიგინალის ზომის თითქმის მეათასედს შეადგენს. ამ თავსატეხის შეკვეთა კომპანიის საიტზე 5300 დოლარად არის შესაძლებელი. უმცირესი კუბიკის შექმნაზე მუშაობა კომპანიამ ოთხი წლის წინ დაიწყო, დამზადება კი – 2022 წლიდან. წელს, აგვისტოში გინესის რეკორდების წიგნმა დაადასტურა, რომ მიკროკუბი ნამდვილად ყველაზე პატარა ტრიალა თავსატეხია მსოფლიოში.

მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მამაკაცი გამოავლინეს

ბრიტანელი მსახიობი აარონ ტეილორ-ჯონსონი, რომელიც მომავალი ჯეიმს ბონდის როლის პრეტენდენტია, მსოფლიოში ყველაზე ლამაზ მამაკაცად დასახელდა. ცნობილმა პლასტიკურმა ქირურგმა, დოქტორმა ჯულინა დე სილვამ „ოქროს თანაფარდობის“ მეთოდი გამოიყენა და პლანეტის 10 ყველაზე მომხიბვლელი მამაკაცი დაასახელა. 34 წლის აარონმა პირველი ადგილი თითქმის იდეალური შედეგით – 93.04%-ით დაიკავა. „ის ყველაზე ლამაზი ჯეიმს ბონდი იქნება, თუკი ამ როლს მიიღებს“, – განაცხადა დე სილვამ. ტეილორ-ჯონსონი მაყურებლისთვის ცნობილია ვრონსკის როლით, ამერიკული „ანა კარენინადან“. სიაში მეორე ადგილზე მოხვდა შაკირას ბოიფრენდი, 32 წლის ლუსიენ ლავისკონტი, სერიალის – „ემილი პარიზში“ მსახიობი, რომელმაც 92.41% მოაგროვა. მესამე საფეხურზეა ირლანდიელი მსახიობი, პოლ მესკალი – 92.38%-ით. ლამაზი მამაკაცების ათეულში მოხვდნენ: რობერტ პატინსონი, ჯეკ ლოუდენი, ჯორჯ კლუნი, ნიკოლას ჰოლტი, ჩარლზ მელტონი, იდრის ელბა და ცნობილი ინდოელი მსახიობი, შახ რუკხ ხანი.

მუზეუმის ექსპონატები ნაგავში გადაყარეს

ნიდერლანდებში, ქალაქ ლისში, LAM-ის მუზეუმის თანამშრომელმა უპატივცემულობა გამოხატა ფრანგი მხატვრის, ალექსანდრ ლავის ნამუშევრის მიმართ და მისი ინსტალაცია, რომელიც ლუდის ორი ქილისგან შედგებოდა, ნაგავში გადაყარა. ერთი მათგანი დაჭეჭყილიც იყო და მას არც შეუმჩნევია, რომ ქილები გარედან აკრილის საღებავით იყო მოხატული. „ამ „ნამუშევრის“ შექმნაზე, რომელსაც „ერთად საუკეთესო დრო გავატარეთ“ ჰქვია, დიდი დრო და ძალისხმევა დაიხარჯა“, – განაცხადა მუზეუმის წარმომადგენელმა. გამოფენის კურატორმა მალევე შენიშნა ქილების გაქრობა და ისინი ნაგვის პაკეტში იპოვა, ვიდრე მას გადაჰყრიდნენ. ლუდის ქილები ლიფტის გვერდით, კედელთან იდო. ინციდენტის შემდეგ, ისინი დარბაზში, სადგამზე დადეს. მუზეუმის დირექტორი ყურადღებას ამახვილებს არტ-ობიექტების განთავსებაზეც და აცხადებს, რომ მათი გამოფენები მაყურებელს მოუწოდებენ, ჩვეულებრივი ნივთები ახალი კუთხით დაინახონ.

ილონ მასკმა რობოტაქსი წარადგინა

პირველი უპილოტო რობოტაქსი, სახელად „კიბერკები“, ილონ მასკმა წარადგინა და კალიფორნიაში გამართულ ხმაურიან პრეზენტაციაზე, სცენასთან, პირდაპირ ამ მანქანით მივიდა. მაქსიმალურად ფუტურისტული დიზაინის ავტომობილში არ არის არც პედლები, არც საჭე. თავად მასკმა მანქანა ლიფტს შეადარა – „შეხვედი, დააჭირე ღილაკს და დანარჩენს მანქანა აკეთებს“. „კიბერკების“ ღირებულება, თავად Tesla-ს მფლობელის თქმით, 30 ათასი დოლარიდან იწყება. მილიარდერმა თაყვანისმცემლებს რობოტიზებული მიკროავტობუსიც წარუდგინა, რომელიც 20 მგზავრზეა გათვლილი. მაყურებლის მთავარი ფავორიტი კი რობოტი „ოპტიმუსი“ გახდა, რომელიც პერსპექტივაში, შესაძლოა, ოჯახის სრულუფლებიანი წევრი და სახლში დამხმარე გახდეს.

ტუალეტში გასვლა შესვენებად აღიარეს

შვეიცარიულმა ფირმამ, რომელიც Jean Siger & Cie-ის საავებს აწარმოებს, საკუთარი თანამშრომლები დაავალდებულა, ტუალეტში გასვლის შესახებ მოახსენონ. კომპანიის ხელმძღვანელობამ ახალი წესი შემოიღო, რომლის მიხედვითაც, საპირფარეშოში წასვლა შესვენებას გაუთანაბრდა. ამის შესახებ შემთხვევით გახდა ცნობილი, როცა საწარმოში სახელმწიფო შემოწმება მიმდინარეობდა. შრომის პირობების სამმართველომ თანამშრომლებისადმი ასეთი მოპყრობა უფლებების დარღვევად აღიარა და საქმე სასამართლოს გადაეცა, თუმცა კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ცდილობენ, სრული თანასწორობა იყოს თანამშრომლებს შორის და ამიტომ არ აკეთებენ განსხვავებას შესვენების მიზეზებს შორის. შედეგად, სასამართლომ დამსაქმებლის მხარე დაიჭირა.

კატები შიზოფრენიით გვემუქრებიან

ავსტრალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ სახლში კატების არსებობა შიზოფრენიის განვითარების რისკს ზრდის. ქვინსლენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა, 11 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობით, 17 კვლევა ჩაატარეს, რამაც აჩვენა, რომ ბოლო 44 წლის განმავლობაში, ამ დაავადების მქონე ადამიანები ცხოვრობდნენ და კონტაქტობდნენ კატებთან. სპეციალისტების თქმით, ყველაფერი პარაზიტ Toxoplasma gondii-ის ბრალია, რომელიც ამ ცხოველებში ცხოვრობს. ის ადამიანის ორგანიზმში კატებთან თამაშისას, კბენით ან ნაკაწრით გადადის. შემდეგ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში აღწევს და ზემოქმედებს ნეიროტრანსმიტერებზე, რაც ადამიანებს ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტებად აქცევს. ამერიკელი სწავლულები შეეცადნენ ამ მონაცემების გაქარწყლებას – მათ განაცხადეს, რომ 345 მოხალისეზე ჩატარებული კვლევებით მსგავსი რამ – კავშირი შიზოფრენიასა და სახლში კატების ყოფნას შორის – არ გამოვლენილა. თუმცა, შემდეგ განაცხადეს, რომ არ გაუთვალისწინებიათ კბენების ფაქტორი და საკუთარი მტკიცებები უკანვე წაიღეს. კატების მფლობელებს კი ურჩიეს, ისინი ვეტერინარებთან პარაზიტებზე შეამოწმონ.

ოცნების ქალის პოვნაში ფულს იხდის

ამერიკელი ჯეფ გებჰარტი კანზასიდან, 25 ათას დოლარს ჰპირდება მას, ვინც მისი ოცნების ქალს გააცნობს. როგორც აღმოჩნდა, გოგონას მიმართ მთავარი მოთხოვნა ძაღლების სიყვარულია. 47 წლის გებჰარტმა ფსიქოლოგებს მიმართა, მისთვის იდეალური ცოლის როლზე კანდიდატებისთვის ანკეტა რომ შეედგინათ. ვინც მას ისეთ ქალს მოუძებნის, რომელიც ანკეტის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ჯეფი 25 ათასს გადაუხდის. ამდენივე თანხას ამერიკელი ძაღლების თავშესაფარსაც გაუგზავნის. „დავიღალე ინტერნეტით გაცნობილი ქალებით და უაზრო პაემნებით. ჩემს დახარჯულ დროსა და წვალებას ფულად ეკვივალენტს მოვუძებნი და თანხას მას გადავუხდი, ვინც საოცნებო ქალს გამაცნობს“, – ამბობს გებჰარტი.

ცელულიტს სამუდამოდ დაივიწყებთ

ამერიკულმა კომპანიამ Auxilium Pharmaceuticals, ახალი საშუალება შექმნა, რომელმაც ცელულიტი უნდა დაამარცხოს. პრეპარატმა უკვე გაიარა გამოცდა. შედეგებმა აჩვენა, რომ სიახლე მნიშვნელოვნად ამცირებს ცელულიტის გამოვლინებას და „ფორთოხლის ქერქის“ ეფექტსაც ამცირებს, რომელიც მანდილოსნებს ბარძაყებსა და დუნდულებზე უჩნდებათ. ტესტირებაში 18-დან 45 წლამდე, 150 ქალი მონაწილეობდა. ყოველ მათგანს სამ ეტაპად უტარდებოდა თერაპია ახალი პრეპარატით – Xiaflex და პლაცებოთი. ყოველ ეტაპზე, ცელულიტიან ადგილებზე 12 ინექცია კეთდებოდა. მონაწილეთა 68% მეტად კმაყოფილი დარჩა მიღებული შედეგით. სიახლის მასობრივ გამოყენებამდე, წინ ჯერ კიდევ კლინიკური ცდების მეორე ფაზაა, რომელიც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს.

თვითმწმენდი სავარძლები ავიალაინერებისთვის

პროექტის ავტორების განცხადებით, თვითმფრინავებისთვის განკუთვნილი ახალი სავარძლები, პრაქტიკულად, ნებისმიერ ბაქტერიას ანადგურებენ. მათი ზედაპირი ანტისეპტიკით არის გაჟღენთილი. ამგვარი სავარძლებით, ჯერჯერობით, მხოლოდ ავიასალონების ბიზნეს-კლასი აღიჭურვება. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თვითმფრინავებში უსაფრთხოების ღვედის მხოლოდ ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე, ასობით სიცოცხლისუნარიანი ბაქტრია და სოკო ცხოვრობს, სტაფილოკოკის სპორები კი სავარძლების ზედაპირზე ერთი კვირის განმავლობაში რჩება. გარდა ბაქტერიების განადგურებისა, ახალი სავარძლები ზურგის მასაჟსაც აკეთებენ, მომავალში სპეციალისტები აპირებენ, მას ტემპერატურის, ხმაურისა და შუქის კონტროლიც დაუმატონ. ანტიბაქტერიული სავარძლები ბაზარზე გასაყიდად ერთი წლის განმავლობაში გამოვა, თითოეულის ფასი კი 95 ათასი (!) დოლარი იქნება.

ნატურალურ ყავას მოლეკულური ჩაანაცვლებს

შესაძლოა, სულ მალე, ნატურალური ყავა სინთეტიკურმა, მოლეკულურმა ჩაანაცვლოს. ამ უნიკალურ პროდუქტზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ Atomo-ს ამერიკელი სტარტაპერები სიეტლიდან. მათ ოთხ ათეულზე მეტი ნაერთის იდენტიფიცირება შეძლეს, რაც ნამდვილი ყავის შემადგენლობაშია და შექმნეს გემოთი, ფერით, არომატით და ორგანიზმზე ზემოქმედებით აბსოლუტურად ანალოგიური მოლეკულები. როგორც სწავლულები ამბობენ, რძისა და ხორცის შემცვლელებისგან განსხვავებით, მათი პროდუქტი, სასარგებლო თვისებებით, არაფრით ჩამოუვარდება „წინაპარს“. ამასთან, მისი წარმოებაც არ იქნება დიდად ხარჯიანი, რადგან ყავის მოლეკულური ანალოგის კომპონენტები ძვირი არ ღირს, გამოყვანა და გადამუშავებაც არ საჭიროებს დიდ შრომას. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი ყავა არასოდეს გამოილევა, მისი მარაგები არასოდეს ამოიწურება. მოლეკულური ყავა მხოლოდ მარცვლებში იქნება, რადგან სწორედ მას აფასებენ ყავის ნამდვილი მოყვარულები. როდის გამოჩნდება ყავის ანალოგი ბაზარზე, ჯერჯერობით, უცნობია.

ნაღვლიანი მუსიკა ტკივილს აყუჩებს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ემოციურ რეაქციებს, რასაც მუსიკა იწვევს, ტკივილის შემცირება შეუძლია. ამ საქმეში ყველაზე ეფექტური კი ნაღვლიანი სიმღერებია. „საყვარელი მუსიკა ტკივილს, ათბალიანი შკალის მიხედვით, დაახლოებით, ერთი ბალით ამცირებს. ის ისეთივე ეფექტურია, როგორც ურეცეპტოდ გასაცემი ტკივილგამაყუჩებლები“, – აცხადებენ მკვლევარები. მათ ექსპერიმენტში 65 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებსაც ხელზე ცხელ ჭიქასთან შეხების ასოციაციას უქმნიდნენ. ამ დროს ისინი საყვარელ მელოდიებს, ან შემთხვევით არჩეულ დამამშვიდებელ მუსიკას უსმენდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ მათი საყვარელი მელოდიის მოსმენისას, ტკივილს უფრო ნაკლებად შეიგრძნობდნენ.

ვაქცინა ნარკოდამოკიდებულებისთვის

ბრაზილიის მინას-ჟერაისის უნივერსიტეტის სწავლულებმა, ნარკოდამოკიდებული ადამიანებისთვის ახალი პრეპარატი შეიმუშავეს, რომელიც „კოკაინის“ ან „კრეკის“ მოხმარების შემდეგ, ხელს უშლის სასიამოვნო შეგრძნებების წარმოქმნას. პრეპარატი Calixcoca უკვე გამოსცადეს მღრღნელებზე. ვაქცინა იწვევს ორგანიზმის იმუნურ პასუხს, რომელიც ბლოკავს ნარკოტიკული საშუალებების მოქმედებას ადამიანის ტვინზე და ხელს უშლის ეიფორიის, ჰალუცინაციებისა და ლეტარგიის გაჩენას. პრეპარატი აიძულებს იმუნურ სისტემას, გამოიმუშაოს ანტისხეულები, რომლებიც სისხლში ნარკოტიკების მოლეკულებს უერთდებიან. ამის გამო, მოლეკულები ძალიან დიდდებიან და ვეღარ „ეტევიან“ ტვინის მეზოლიმბურ გზაზე, რომელიც „ჯილდოს მიღების“ სისტემად არის ცნობილი. სწავლულები ახლა არკვევენ, როგორი უნდა იყოს ვაქცინის ოპტიმალური დოზა. ამის შემდეგ, უკვე შესაძლებელი იქნება ადამიანებზე ცდების დაწყება. მკვლევარები აცხადებენ, რომ მათ უკვე 3 ათასზე მეტი მოხალისე დაუკავშირდათ, რომლებიც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ კლინიკურ ცდებში.

მშვიდობის პრემია იაპონელებმა მიიღეს



ნობელის მშვიდობის პრემია მიიღო ორგანიზაციამ – Nihon Hidankyo, ამომავალი მზის ქვეყნიდან, ბირთვული იარაღისგან თავისუფალი სამყაროს მიღწევაში ძალისხმევისა და იმის დემონსტრირებისთვის, რომ ატომური იარაღი აღარასდროს უნდა გამოიყენონ. Nihon Hidankyo – ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვას გადარჩენილთა მოძრაობაა. მისი წევრები დაუღალავად მუშაობენ ბირთვული იარაღის გამოყენების კატასტროფული ჰუმანიტარული შედეგების ცნობიერების ამაღლებაზე. უკვე გამოვლინდნენ პრემიის ლაურეატები ფიზიკაში, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ქიმიასა და ლიტერატურაშიც.

შოკოლადი ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის

პოლონელმა სწავლულებმა, სილეზიის სამედიცინო ინსტიტუტიდან, სპეციალური შოკოლადი შექმნეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ოსტეოპოროზი ემუქრებათ. ეს დაავადებაა, რომლის დროსაც გამუდმებით იკარგება ძვლოვანი მასა და ძვლები ძალიან მყიფე ხდებიან. შედეგად, შესაძლოა, ადამიანმა სერიოზული მოტეხილობა მიიღოს უმცირესი ტრავმის დროსაც კი. მთელ მსოფლიოში, 50 წელს გადაცილებული ქალების 20%-სა და მამაკაცების 6%-ს აწუხებს ეს დაავადება. ახალი პოლონური შოკოლადი შეიცავს D3 და K2 ვიტამინებს. ისინი არ ცვლიან ტკბილეულის გემოს და ამავდროულად, შოკოლადში მათი საკმარისი რაოდენობაა, პროფილაქტიკური ეფექტისთვის. გარდა ამისა, მეცნიერებმა შოკოლადის ფილებისთვის სპეციალური შეფუთვაც მოიფიქრეს, რომელიც ტკბილეულის მნიშვნელოვან ინგრედიენტებს დაშლისგან იცავს. ამჟამად, პოლონელი სწავლულები აპირებენ, სიახლე მასობრივ წარმოებაში გაუშვან.

ყავაში დავარგებული ყველი ჩარადგინეს



ყველის მწარმოებელმა ბრიტანულმა კომპანიამ – Paxton & Whitfield, პარტნიორ კომპანია – Rave Coffee-თან ერთად, რომელიც ყავის მოხალვით არის დაკავებული, შექმნა თხის ყველი – Kaldi, რომელიც ყავის მარცვლებში არის დავარგებული. პროდუქტს ხილისა და ყავის მარცვლების მომწარო გემო დაჰკრავს. სპეციალისტებმა უამრავი კვლევა ჩაატარეს, გამოიყენეს სხვადასხვა რძე და ყველის სახეობა, ასევე ყავის ფართო სპექტრი, რათა რთული, დაბალანსებული და დამაინტრიგებელი შედეგი მიეღოთ. წინასწარი დამუშავების შემდეგ, თხის ყველს ყავის მარცვლებში თითქმის 10 კვირას აჩერებენ. კომპანიაში დეგუსტაციისას, ახალ ყველს „ფანტასტიკური“ უწოდეს. ყველი Kaldi უკვე გაყიდვაშია, მისი 250-გრამიანი შეფუთვა 15 გირვანქა სტერლინგი ღირს.

გასახდომი პიცა გამოუშვეს

ადამიანებს, რომელთაც დიეტის დაცვა გადაწყვიტეს, ხშირად ძალიან უჭირთ საყვარელ პროდუქტებზე უარის თქმა. ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ ამ პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტა და გასახდომი პიცა შეიმუშავა. ამ დაბალკალორიული კერძისთვის საჭირო ნაკრებში შედის ორი პაკეტი: ერთი ფხვნილია ცომისთვის, რომელშიც მცენარეული ცხიმები და კვერცხის ცილაა, მეორე კი – ტომატის სოუსი. კერძის მოსამზადებლად ამ ფხვნილებს წყალი უნდა დაუმატოთ და საგულდაგულოდ აურიოთ. პიცისთვის ყველის დამატება რეკომენდებული არ არის, რადგან ის ბევრ კალორიას შეიცავს, სამაგიეროდ, მსურველებს ბოსტნეულის დამატება შეუძლიათ, რომელშიც ნაკლები ნახშირწყლებია – ბულგარული წიწაკა, სოკო, პომიდორი, ისპანახი და წითელი ხახვი. მზა პიცა მხოლოდ 200 კალორიას შეიცავს, რაც 300-ით ნაკლებია ტრადიციულზე. გასახდომი პიცის მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ მათი პროდუქცია გამდიდრებულია ვიტამინებით, მინერალებითა და დიდი რაოდენობით ცილებით.

კარაქში კიბოს „მკვლელები“ იპოვეს

ამერიკელმა სწავლულებმა, ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, მეტად ღრმა და დეტალური კვლევები ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რძის ცხიმოვანი პროდუქტები და ძროხისა და ცხვრის ხორცი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც სიმსივნის მკურნალობას ეხმარება. რასაკვირველია, მხოლოდ პროდუქტებით, წამლებისა და სხვა მეთოდების გარეშე, კიბოს მკურნალობა შეუძლებელია. თუმცა, მეორე მხრივ, სიმსივნით დაავადებულმა რომ უარი თქვას რძის პროდუქტებისა და საქონლის ხორცის მიღებაზე, ეს სიგიჟეა. ამ პროდუქტებში აქტიური ნივთიერება აღმოჩნდა ტრანსვაქცენური ცხიმოვანი მჟავა. ის ბევრია ნაღების კარაქში, რძის სხვა პროდუქტებში, ძროხისა და ცხვრის ხორცში. გარდა ამისა, მას დიდი რაოდენობით შეიცავს დედის რძეც. სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ეს ტრანსვაქცენური მჟავა აუმჯობესებს იმუნური სისტემის განსაკუთრებული უჯრედების მუშაობას, რომლებიც უტევენ სიმსივნურ უჯრედებს და კლავენ მათ. კვლევა საკმაოდ რთული და მრავალეტაპიანი იყო. ჩატარდა, როგორც ლაბორატორიულ თაგვებზე, ასევე, ონკოპაციენტებზეც. მკვლევარები გვთავაზობენ, დაავადებული ადამიანების მკურნალობაში ჩავრთოთ ტრანსვაქცენური ცხიმოვანი მჟავაც.

ყავის ჭკვიანი მადუღარა შექმნეს

შინ თუ სამსახურში, ყავის მადუღარას ან ესპრესოს მანქანას ხშირად რამდენიმე ადამიანი იყენებს. ამიტომ, ყოველ ჯერზე, შესაძლოა, შემთხვევით სხვისი გემოვნებით შერჩეული ყავა დალიოთ, ანდა თქვენს მიერ ჩამოსხმულ ესპრესოს რძიანი ყავის გემო ჰქონდეს. ამ პრობლემას ამიერიდან ყავის „ჭკვიანი“ მადუღარა მოგიგვარებთ. ეს მაღალტექნოლოგიური მანქანა, რომელსაც Memory უწოდეს, თქვენთვის სასურველ სასმელს დაიმახსოვრებს და ყოველთვის მას ჩამოგისხამთ. მადუღარა ასეთი პრინციპით მუშაობს: სენსორულ ეკრანზე ირჩევთ, როგორი ყავა გინდათ და მას თქვენს პროფილზე, ხელისგულის ანაბეჭდთან ერთად შეინახავთ. მადუღარას ყოველი გამოყენების დროს, უბრალოდ, ეკრანზე ხელს დაადებთ, მანქანა აღიქვამს მონაცემებს და თქვენს სასურველ „ღვთაებრივ სასმელს“ ჩამოგისხამთ.

ფანტასტიკური წიგნის მაღაზია გახსნეს

ჩინეთში, ქალაქ ჰუაიანში (სიჩუანის პროვინცია), არქიტექტურულმა სტუდიამ – X+Living ახალი წიგნის მაღაზია გახსნა, რომელიც ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენს. მაღაზია Huai'an Zhongshuge ორ სართულზეა განთავსებული და მისი ფართი 810 კვადრატული მეტრია. ინტერიერი ჩაფიქრებულია, როგორც პორტალი დროსა და სივრცეში და მსხვილმასშტაბიანი „ასტრონომიული ინსტრუმენტებისგან“ შედგება. წიგნების თაროები ჰაერში მცურავ კონცენტრულ რგოლებს ჰგავს და მათზე ტონობით წიგნია განთავსებული.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.